ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

„გაზის გაძვირება ინფლაციას 5%-მდე გაზრდის“



გვ.5

29 მარტიდან
საბავშვო ვეფხისტყაოსანი
ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი



ხუთშაბათი, 30 მარტი, 2017 №75 (7310) ფასი: 50 თეთრი

# „გივი თარგამაძე სააკაშვილს დააჭერინებს“





გვ.2



ტრისტან წითელაშვილი: „გივი თარგამაძის მიწოდებული მასალები უკრაინის პროკურატურას სერიოზულად დაეხმარება“

## „ოცნებას“ პრეზიდენტად რობოტის დასმა უნდა“

გვ.3





გვ.2

## ნანა დევდარიანი: „კვირიკაშვილს არ შეცვლიან“

მარტო ცოცხები და „დუბინკები“ რომ აღარ არის, ამაზე უნდა ვიყოთ მადლობლები?!



გვ.3

## სოსო ცინცაძე: „ხელისუფლება ოპოზიციასთან მაჟორიტარული არჩევნებით ვაჭრობს“

რას ნიშნავს ლავროვის ახალი განცხადება?

გვ.5



ამერიკელი გენერალი: „რუსეთი მეზობლებს ბირთვული იარაღით აშინებს“



## „შალვა ოგბაიძეს გადავაფარეთ სუდარა, როგორც მიცვალებულს, და ისე გავიყვანეთ“

როგორ გაიტაცა პაციენტი საავადმყოფოდან დიმიტრი ლორთქიფანიძემ

გვ.4

ISSN 1987-9385

# ნანა დევდარიანი: „კვირიკაშვილს არ შეცვლიან“

ნონა ცაბაძე

ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ „ახალი თაობის“ კითხვებს ნანა დევდარიანი პასუხობს.

***– ქალბატონო ნანა, საკონსტიტუციო ცვლილებები და პრეზიდენტის არჩევის წესი ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების მთავარი თემაა. როგორც პარლამენტის თავმჯდომარე აცხადებს, ქარიზმატული და სოფელ-სოფელ მოსიარულე პრეზიდენტი არ სჭირდება ქვეყანას. როგორია თქვენი შეფასებები ამ ყველაფერზე?***

– ტყუილად არ ხდება ასეთი დაპირისპირება, ადრე თუ პრემიერი იყო დაპირისპირებული პრეზიდენტთან და პირველ მეორეზე ვერ გაითვალეს ვერაფრით, ახლა უკვე პარლამენტის თავმჯდომარესა და პრეზიდენტს შორის ხდება იგივე.

პრეზიდენტი უნდა იყოს არბიტრის როლში, დამოუკიდებელი ფიგურა უნდა იყოს. სხვაგვარად მთელი ხელისუფლება იქნება მონოპოლიზებული ერთ ხელში. თუ პირდაპირ აირჩევა ასეთი ადამიანი, მის მიმართ ნდობა, როგორც არბიტრის მიმართ, იქნება მაღალი. თუ ისევ ის პოლიტიკური ძალა აირჩევს, ვინც არჩევნებს მოიგებს იმ გზით, როგორც ეს 2016 წელში მოხდა, გამოდის, რომ მთლიანად ერთი ძალის ხელში იქნება მთელი ძალაუფლება. აი, ესაა პრობლემა.

***– დღეს „ოცნება“ ვერ იტანს მისგან დამოუკიდებელ პრეზიდენტს?***

– პრობლემები წარმოიშვა მას შემდეგ, რაც მარგველაშვილმა დამოუკიდებელი ნაბიჯების გადადგმა დაიწყო და დამოუკიდებელი აზრის გამოხატვა.

***– პრეზიდენტი პირდაპირი წესით უნდა აირჩეს?***

– არის უამრავი ძალიან ნორმალური ქვეყანა, სადაც პრეზიდენტს აქვს სიმბოლური ფუნქციები, არის მთლიანად საპარლამენტო მოდელი, მაგრამ ჩვენ არ გვაქვს ეს ვითარება და ასეთი დემოკრატია ქვეყანაში!



**მარტო ცოცხები და „დუბინკები“ რომ აღარ არის, ამაზე უნდა ვიყოთ მადლობლები?!**

***– სწორედ ეს არგუმენტები აქვს „ოცნებას“, რომ თუ ვართ საპარლამენტო რესპუბლიკა, ბოლომდე ვიყოთო.***

– საქმეც ეგაა, რომ არ არის ბოლომდე საპარლამენტო რესპუბლიკა. ძალიან ასიმეტრიულია ჩვენი კონსტიტუცია. სააკაშვილმა ხომ საკუთარ თავზე მოირგო. ორი ვადა რომ გაუვიდოდა, უნდა გამხდარიყო პრემიერ-მინისტრი, ხოლო დავით ბაქრაძე – პრეზიდენტი, რომელიც ხმის ამომღები არ იქნებოდა სააკაშვილის პირობებში. თავისთავად ეს კონსტიტუცია არის გაუმართავი, ერთი ადამიანის ნება-სურვილზე მორგებული. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მეორე სხვა ადამიანს მოარგო.

***– იზიარებთ ოპოზიციის მოსაზრებას, რომ „ოცნება“ ცდილობს, საკუთარ ინტერესებს მოარგოს კონსტიტუცია?***

– ასეთი პირი უჩანს. მოდით, პირდაპირ ვთქვათ, ერთ-ერთი ცენტრალური საკითხი არის არა იმდენად პრეზიდენტის არჩევის საკითხი, არამედ მაჟორიტარული არჩევნების გაუქმება. „ოცნება“ წინა მოწვევის პარლამენტში ამბობდა, რომ მზად ვართ, მაგრამ არ გვაქვს საკონსტიტუციო უმრავლესობა და ნაციონალები გვიბლოკავენო. ახლა ხომ აქვთ საკონსტიტუციო უმრავლესობა? რატომ აღარ უნდათ მაჟორიტარული არჩევნების გაუქმება?

***– რატომ არ უნდათ? რა შეიცვალა?***

– ყველაფერი არის ძალიან მარტივი. პარტიამ, რომელსაც არ მიუღია უმრავლესობის მხარდაჭერა, მთლად საკონსტიტუციო უმრავლესობა ჩაიგდო ხელში და ეს დიდწილად მაჟორიტარების გაყვანის ხარჯზე მოხდა. თავის დროზე ნაციონალებმა მიიღეს ეს სისტემა, რომ გამარჯვებული იღებს ყველაფერს. რა აზრი ჰქონდა ამ ყველაფერს, თუკი ესენიც იგივე გზით ივლიდნენ. მარტო ცოცხები და „დუბინკები“ რომ აღარ არის, ამაზე უნდა ვიყოთ მადლობლები?! უსამართლობა ადრე თუ გვიან წარმოშობს სისასტიკეს, ადამიანის ღირსების შელახვას და ა. შ. ეს გარდაუვალია!

***– ოპოზიციის ძირითადი მოთხოვნაც სწორედ ეს არის, რომ საარჩევნო კოდექსში შევიდეს სერიოზული ცვლილებები. რამდენად წავა ამაზე „ოცნება“?***

– თუ არ წავა, მაშინ მარტო დარჩება. ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ბოიკოტირებას გამოუცხადებენ საკონსტიტუციო კომისიას. „ქართულ ოცნებას“ კი უნდა, რომ შექმნას იმის ილუზია, რომ კონსტიტუციაში ცვლილებები მიღებულია საყოველთაო კონსენსუსით.

თუ არაფერს გაითვალისწინებენ, აღარც კონსენსუსი დარჩებათ და დარჩებიან მარტო იმ საკონსტიტუციო კომისიაში.

***– რისთვის ემზადება „ქართული ოცნება“, რა აქვს ჩაფიქრებული, რომ მესამე ვადითაც დარჩეს ხელისუფლებაში?***

– რა თქმა უნდა. ნებისმიერი ძალა, რომელიც ხელისუფლებაშია, ცდილობს, რომ კიდევ და კიდევ მოვიდეს.

***– თქვენ თავში საუბრისას თქვით, რომ როლები შეიცვალა და პრეზიდენტს ახლა პარლამენტის თავმჯდომარე დაუპირისპირდა. რატომ, კვირიკაშვილმა ვერ მოირგო ეს როლი?***

– კვირიკაშვილმა სწორი გზა აირჩია, არ წავიდა კონფრონტაციის გზით, რომელიც არაფრის მომტანი არ არის. რაც მთავარია, სადავოდ არ გახადა, ვინ პირველია, ვინ – მეორე, საერთოდ არ დასვა ეს საკითხი და ეს სწორი იყო. ირაკლი ღარიბაშვილსაც და პარლამენტის ამჟამინდელ თავმჯდომარესაც ეს ყველაფერი პოლიტიკური გამოუცდელობით დაემართათ.

***– დღეს კულუარებში აქტიურად საუბრობენ იმაზეც, რომ როგორც კი გაივლის ეს აჟიოტაჟი და აღტკინება ვიზალიბერალიზაციით, კვირიკაშვილის შეცვლის საკითხი დადგება. თქვენ რა ინფორმაციებს ფლობთ?***

– ნორმალურ ქვეყანაში, როდესაც გამოდიხარ და ამბობ, რომ შენი პრიორიტეტია ევროპასთან ინტეგრაცია და თვლიან, რომ ეს დიდი გამარჯვებაა, ასეთი გამარჯვების შემდეგ იმის დასაბუთება, რომ აუცილებელია პრემიერის ცვლილება, არის ძალიან რთული. მაშინ მივდივართ ფორმულირებასთან, რომ ეს ყველაფერი აღარ მინდა. თუ შენ ამბობ, რომ ეს გამარჯვებაა, ასეთი გამარჯვების შემდეგ აღარ ცვლიან! ასეთი ცვლილების დასაბუთება ძალიან გაუჭირდებათ.

***– ანუ არ შეცვლიან?***

– ეს სრულიად მოსალოდნელია, უბრალოდ, ამის პოლიტიკური კანონზომიერებით დანახვება ძალიან გაუჭირდებათ.

# „გივი თარგამაძე სააკაშვილს დააჭერინებს“

## ტრისტან წითელაშვილი: „გივი თარგამაძის მიწოდებული მასალები უკრაინის პროკურატურას სერიოზულად დაეხმარება“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ დააკავეს უკრაინის ყოფილი მაღალჩინოსანი, რისთვის ემზადება უკრაინის მთავარი პროკურატურა, რა მასალები ჩაიტანა გივი თარგამაძემ კიევში, რამდენი ზონდერი დაბრუნდა უკრაინიდან საქართველოში? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ სამხედრო ექსპერტი ტრისტან წითელაშვილი ესაუბრება.

***– ჟურნალისტ ელისო კილაძის ინფორმაციით, გივი თარგამაძემ უკრაინის პროკურატურას მიხეილ სააკაშვილზე კომპრომატები გადასცა. თქვენ რამდენიმე თვის წინ ამტკიცებდით, რომ კიევში სააკაშვილზე საქმე იყო აღძრული. მისცემს თუ არა საქმეს მსვლელობას თარგამაძის მიწოდებული მასალები?***

– გივი თარგამაძის მიწოდებული მასალები უკრაინის პროკურატურას სერიოზულად დაეხმარება. იქ მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ ჯერ კიდევ გასულ წელს აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. რამდენიმე თვის წინ ვთქვი, რომ მას ძალიან მალე დააკავებენ. ყველაფერი აქეთკენ მიდის.

***– რა სახის მასალები მიაწოდა თარგამაძემ პროკურატურას?***

– თარგამაძემ პროკურატურას მის წინააღმდეგ მოწყობილი ტერაქტის შესახებ მიაწოდა ინფორმაცია. ამ მასალებში დეტალურად არის აღწერილი, თუ როგორ დაიგეგმა მის წინააღმდეგ ტერაქტი უკრაინაში. ამ ყველაფრის უკან კი მიხეილ სააკაშვილი იდგა.

ყოფილმა დეპუტატმა უკრაინის საგამოძიებო უწყებას იმ პირების შესახებაც მიაწოდა ინფორმაცია, ვისთან ერთადაც მოიფიქრა ნაპრეზიდენტალმა ტერაქტის მოწყობა. თარგამაძეს უკრაინაში გავლენიანი ნაცნობები ჰყავს და ამ მასალების მოძიება არ გაუჭირდებოდა.

***– არის იმის ალბათობა, რომ უკრაინის პროკურატურა სააკაშვილს თარგამაძის წინააღმდეგ მოწყობილი ტერაქტის ბრალდებით დააკავებს?***



– მარტო თარგამაძის აფეთქების გამო არ მოხდება მისი დაკავება. ეს ტერაქტი მის საქმეში ერთ-ერთი ეპიზოდი იქნება. მას ბევრ რამეს ედავებიან უკრაინელი სამართალდამცავები. მათი ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს. ამიტომაც მხოლოდ რამდენიმე მათგანზე შევაჩერებ თქვენი მკითხველის ყურადღებას.

სააკაშვილს უკრაინელები სახელმწიფო სახსრების გაფლანგვას ედავებიან. ის აქტიურად იყო ჩართული იარაღის კონტრაბანდაში. სერიოზული სკანდალის მიზეზი გახდა გასაიდუმლოებული სარეაბილიტაციო ცენტრი, სადაც ვითომ ომში დაჭრილებს მკურნალობდნენ. უკრაინული მედია წერდა, რომ ამ ცენტრში ადამიანების ორგანოებით მიდიოდა ვაჭრობა.

ასევე სერიოზული კითხვები არსებობს ოდესაში შექმნილი საქველმოქმედო ფონდის მიმართაც. ამ ფონდში სააკაშვილი ადგილობრივ ბიზნესმენებს ძალადობრივი გზით არიცხინებდა თანხებს, ამ ფულს კი საქართველოში სხვადასხვა არეულობების მოსაწყობად იყენებდა.

ბოლო წლებში რაც ნაციონალებმა აქცია მოაწყვეს, ყველა ამ ფონდიდან დაფინანსდა. ის საქართველოში დიდი არეულობის მოსაწყობად ემზადებოდა. ამის ნათელი მაგალითია ბათუმის არეულობაც. ეს ამბავი ნაციონალებმა ძალიან კარგად აითვისეს. როცა არეულობა დაიწყო, სააკაშვილმა რამდენჯერმე დაურეკა ლევან ვარშალომიძეს. ის ითხოვდა მეტ არეულობას და ამბობდა, რომ ფინანსების პრობლემა არ არის.

ასე რომ, უკრაინის მთავარ პროკურატურას სააკაშვილის წინააღმდეგ ბევრი მტკიცებულება აქვს. ერთ-ერთ საქმეზე მეც კი მთხოვეს განმარტება.

***– რა საკითხზე დასჭირდათ თქვენი განმარტებები?***

– სნაიპერების თემაზე. მე ვიყავი პირველი, რომელმაც ვთქვი, რომ მაიდნის არეულობების დროს ხალხს სააკაშვილის მიერ ჩაყვანილი სნაიპერები ესროდნენ. ამ სნაიპერების ვინაობაც დავასახელე. რამდენიმე წლის შემდეგ ამ საქმით უკრაინაც დაინტერესდა.

***– თქვენ პროკურატურას მიეცით ჩვენება?***

– ეს არ იყო ჩვენება. ეს იყო უფრო განმარტება. მე უკრაინის ხელისუფლებას იმ ბანდიტებზეც ვესაუბრე, რომლებიც სააკაშვილს გარშემო ჰყავს შემოკრებილი. ისინი სერიოზულ პრობლემებს უქმნიან როგორც უკრაინის მოსახლეობას, ასევე ხელისუფლებას.

***– სააკაშვილის ზონდერებზე თქვენ მაშინ საუბრობდით, როცა ის ოდესის გუბერნატორი იყო. ახლა მას სტატუსი აღარ აქვს და რას აკეთებენ ეს ზონდერები?***

– რასაც აქამდე აკეთებდნენ – უკანონო საქმიანობით არიან დაკავებული. მათი ნაწილი საქართველოში შეეცდება დაბრუნებას. რამდენიმე მათგანი უკვე დაბრუნდა კიდეც. ამ ადამიანების ვინაობა ჩემთვის ცნობილია. მათი ნაწილი



უკვე აქციებზეც გამოჩნდა.

***– რომელ აქციაზე გამოჩნდნენ?***

– ბათუმის აქციაზე. ეს ზონდერები ირაკლი ჩხვირკიასთან ერთად დარბოდნენ და აგრესიულად იქცეოდნენ. მივმართავ საქართველოს ხელისუფლებას, ცოტა მეტი ყურადღება მიაქციონ იმ ხალხს, რომლებიც საქართველოში შემოდიან. ადრე თუ გვიან, მათ უკრაინიდან გამოყრიან და აქ დაბრუნდებიან. არეულობის მოწყობა მათთვის პრობლემა არ იქნება.

სააკაშვილსა და მის ბანდას უკრაინის ხელისუფლებამ სერიოზულად მოჰკიდა ხელი. დროა, ჩვენც ასე მოვიქცეთ. საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს ძალიან მალე დააკავებენ და საქართველოს გადმოსცემენ. ამ კუთხით უკვე დაიწყო რაღაც თანამშრომლობა.

***– რა თანამშრომლობაზეა საუბარი? რამდენიმე დღის წინ თბილისში უკრაინის ხელისუფლების ყოფილი წარმომადგენელი დააკავეს და მას ექსტრადიციისთვის ამზადებენ. ეს გაქვთ მხედველობაში?***

– ამაზე მოგახსენებთ. სააკაშვილის წყალობით ოფიციალურ კიევს „ოცნების“ ხელისუფლებასთან ცივი დამოკიდებულება ჰქონდა. ახლა ეს ყინული გალღვა, დაიწყო თანამშრომლობა და დარწმუნებული ვარ, რომ მალე სააკაშვილსაც გადმოგვცემენ.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# სოსო ცინცაძე: „ხელისუფლება ოპოზიციასთან მაჟორიტარული არჩევნებით ვაჭრობს“

ნათია ხურცილავა



პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საარჩევნო სისტემებზე საუბრობს.

***– ბატონო სოსო, ოპოზიციური პარტიები ხელისუფლებისაგან ითხოვენ, 15 აპრილამდე კონსტიტუციური რეფორმის რამდენიმე კონკრეტულ საკითხზე საჯაროდ გამოაქვეყნოს საკუთარი პოზიცია. ერთ-ერთი ასეთი მოთხოვნა საარჩევნო სისტემას ეხება. ისინი მაჟორიტარული სისტემის გაუქმებას ითხოვენ. რამდენად შეელევა ხელისუფლება მაჟორიტარებს?***

– „ქართულმა ოცნებამ“ პირველ რიგში საკუთარი დანაპირები უნდა შეასრულოს. 2012 წელს წინასაარჩევნო კამპანიის დროს „ქართულმა ოცნებამ“ ეს დაპირება გასცა. ახლა ოპოზიცია სწორედ მის შესრულებას ითხოვს. ჩვენნაირ ქვეყნებში მაჟორიტარული არჩევნები არსად ამართლებს. მადლობა ღმერთს, ჩვენთან არ მომხდარა ის, რაც რუსეთში ხდებოდა.

***– რა ხდებოდა რუსეთში?***

– 90-იანი წლების რუსეთში კანონიერ ქურდებს ირჩევდნენ დეპუტატებად. მე მახსოვს, კრასნოიარსკის დეპუტატი იყო ცნობილი ქურდი ბიკოვი. სწორედ ამ ფაქტს გადაჰყვა გენერალი ლებედი.

რაც შეეხება ხელისუფლების არგუმენტს, რომ ამერიკაში სულ მაჟორიტარული არჩევნებია და რა არის ამაში ცუდი, ეს არ უნდა იყოს ჩვენთვის მაგალითი. ამერიკის კონსტიტუციას გენიოსები წერდნენ, მათზე თომას ჯეფერსონმა თქვა, ნახევრად ღმერთები არიანო. ამიტომაც არის, რომ 300 წელია, ამერიკის კონსტიტუცია შვეიცარული საათივით მუშაობს.

***– სულ რამდენიმე შესწორებაა შესული.***

– სულ 27 თუ 28 დამატება და არა – შესწორება.

***– ბატონო სოსო, ჩვენს კონსტიტუციას რომ დავუბრუნდეთ, წავა ხელისუფლება ამ დათმობაზე?***

– ძალიან უჭირს, ეს პირდაპირ ჩანს. თანაც ნათლად ჩანს, რომ მაჟორიტარებით ვაჭრობს. მაჟორიტარების დიდი უმრავლესობა მილიონერია. რა უნდათ პარლამენტში? მით უფრო, თუ გადავხედავთ მათ აქტიურობას, ნულის ტოლია. ზოგიერთმა მათგანმა პარლამენტის სასესიო დარბაზიც კი არ იცის, რომელ მხარეს არის. ბოლოს თითქოს გაცდენებზე სანქციებიც კი შემოიღეს. მახსოვს, ერთხელ გაბრაზებულმა დავით უსუფაშვილმა როგორ ამოიკითხა მათი გვარები და ზოგიერთს ერთი დასწრებაც კი არ ჰქონდა.

მაგრამ ისინი მაინც არიან, ერთადერთი მიზნით – საჭირო დროს საჭირო ადგილზე! გადამწყვეტი კენჭისყრის დროს მათი ხმები ჯიბეში ედო უმრავლესობას. ახლაც ასეა.

***– „ქართული ოცნების“ გუნდში ამ საკითხზე დაპირისპირებაა, აზრი ორად არის გაყოფილი, ნაწილს უნდა პროპორციულ სისტემაზე გადასვლა, მაგრამ ნაწილს არ ეთმობა.***

– მე ეჭვი არ მეპარება, რომ მაშინ ისინი გულწრფელად აპირებდნენ მაჟორიტარული არჩევნების გაუქმებას. ფიქრობდნენ, რად გვინდა მაჟორიტარები, ისედაც გავიმარჯვებთო, მაგრამ როგორც კი მოვიდნენ ხელისუფლებაში, ნახეს, რომ პირველ არჩევნებზე გაიმარჯვეს, მაგრამ მეორეზე გაუჭირდათ. ამ გაჭირვების გზაზე კი მაჟორიტარები ის ხალხი აღმოჩნდა, ვინც ისინი იხსნა. არჩევნებზე ამომრჩეველთა ხმების ნახევარზე ნაკლები მიიღეს, მაგრამ დღეს საკონსტიტუციო უმრავლესობა აქვთ. ეს ხომ არის აბსურდი. სად არის აქ სამართლიანობა?!

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თვითონ მაჟორიტარები არიან წინააღმდეგნი ამ სისტემის გაუქმების.

***– ეს სერიოზულ დაპირისპირებას გამოიწვევს?***

– არა, არავითარ დაპირისპირებას არ გამოიწვევს. ამასაც სავაჭროდ იყენებს უმრავლესობა, რომ მაჟორიტარები გამოდიან წინააღმდეგ და ა.შ. მაგრამ თუ ერთ სიტყვას იტყვის ივანიშვილი, რომ დაპირება უნდა შესრულდეს, ის დაუყოვნებლივ შესრულდება.

ახლა საუბარია, რომ გადაუნაწილებელი ხმები პირველ ადგილზე გასულმა პარტიამ გადაინაწილოს. ეს ნიშნავს, რომ იგივე სურათს მივიღებთ. ამიტომ კლასიკური ტიპის პროპორციულ არჩევნებზე უნდა იყოს საუბარი. ამიტომ ოპოზიცია თავის პოზიციაზე მყარად უნდა დადგეს. თუმცა, ვინც დღეს მაჟორიტარული სისტემის გაუქმებას ასე დაჟინებით ითხოვს, მან შეიძლება, თუ ხელისუფლებაში მოვიდა, მისი აღდგენა მოითხოვოს. სამწუხაროდ, ასეთ უცნაურ რეალობაში ვცხოვრობთ.

# „ოცნებას“ პრეზიდენტად რობოტის დასმა უნდა“

შორენა მარსაგიშვილი

**აქამდე ერსა და ექსპერტ-პოლიტიკოსებში პრეზიდენტის არჩევის წესზე მიდიოდა კამათი, ამიერიდან, სავარაუდოდ, იმაზე გვექნება დავა, თუ როგორი ტიპის ადამიანებს შეეძლებათ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღება. სკანდალი და ვაი-უშველებელი ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის, ლევან ბეჟაშვილის გავრცელებულ ინფორმაციას მოჰყვა.**



მისი თქმით, კონფერენციის „საკონსტიტუციო რეფორმა საქართველოში“ მსვლელობისას პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ პრეზიდენტი აკადემიური ფიგურა უნდა იყოს და არა – ქარიზმატული და პოლიტიკური პროცესი უნდა გადავიდეს კულუარებში.

ბეჟაშვილის მიერ გავრცელებული ინფორმაცია მოგვიანებით უარყო პარლამენტის სპიკერმა. კობახიძე ამტკიცებს, რომ არსად უთქვამს, ქარიზმატული პრეზიდენტი საჭირო არ არისო.

– ეს კომენტარები არის წარმოუდგენელი. მსგავსი არაფერი თქმულა დღეს კონფერენციაზე, რომელიც გაიმართა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ორგანიზებით. საუბარი იყო პრეზიდენტის პირდაპირი და არაპირდაპირი არჩევის წესის უპირატესობებსა და ნაკლოვანებებზე. გაისმა სხვადასხვა არგუმენტი, რამდენიმე სპიკერი იყო, რომელმაც თავისი არგუმენტები წარმოადგინა. რაც შეეხება ოპოზიციის კომენტარებს, მსგავსი არაფერი თქმულა დღევანდელ ღონისძიებაზე, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

მისი საჯარო უარყოფის მიუხედავად, ერსა და პოლიტიკოსებში მაინც დიდი მღელვარებაა ამ საკითხზე. ოპოზიცია ფიქრობს, რომ „ოცნება“ საპრეზიდენტო კანდიდატად უქარიზმო და მორჩილი ადამიანის წარდგენას ფიქრობს.

ექსპერტი გია ხუხაშვილი მიიჩნევს, რომ პრეზიდენტს აუცილებლად უნდა ჰქონდეს ქარიზმა.

– მე არ მესმის, რატომ ისმის საკითხი ასე. პრეზიდენტი ისეთი უნდა იყოს, როგორსაც მოსახლეობა აირჩევს. ქარიზმას რაც შეეხება, მის გარეშე პოლიტიკაში წარმატების მიღწევა არის შეუძლებელი, თუ ვიღაცის მიერ ამა თუ იმ თანამდებობაზე ნომინალურად არა ხარ დასმული, – ამბობს „ახალ თაობასთან“ საუბარში ხუხაშვილი.

მისი თქმით, ჩვენს პოლიტიკაში ისედაც მრავლად არიან ისეთი ადამიანები, რომლებსაც არანაირი ქარიზმა არ აქვთ.

– ქართულ პოლიტიკურ საჭადრაკო დაფაზე არაქარიზმატული ლიდერები მრავლად არიან. სინამდვილეში ისინი ჩვეულებრივ პაიკებს წარმოადგენენ, რომლებსაც ვიღაც ამოძრავებს. სახელებს და გვარებს შეგნებულად არ დავასახელებ, – აღნიშნავს ექსპერტი.

მისი შეფასებით, მოქმედ პრეზიდენტს ქარიზმა აქვს და დამოუკიდებელი ფიგურაა.

– გიორგი მარგველაშვილის ქარიზმა არ არის კლასიკური პოლიტიკოსის ქარიზმა. ის არც არის ამ გაგებით პოლიტიკოსი. მას კარიერული წინსვლის ამბიციები არ აქვს. სამაგიეროდ, მას აქვს მოქალაქის ქარიზმა და საკმაოდ დამოუკიდებელი ფიგურაა, – მიიჩნევს ხუხაშვილი.

ის ფიქრობს, რომ ჩვენ შესაძლოა პრეზიდენტის ქარიზმა არც კი შეგვემჩნია, რომ არა ხელისუფლების ქმედება.

– მისი მოკრძალებული ქარიზმა მას შემდეგ გამოჩნდა, რაც მას „ქართული ოცნება“ დაუპირისპირდა. მას ისეთი ფონი შეუქმნეს, რომ იძულებული გახდა, თავისი ქარიზმა გამოევლინა. ხელისუფლების მხრიდან რომ არ ყოფილიყო მუდმივი შეტევები, დიდი ალბათობით პრეზიდენტის საინტერესო, ინდივიდუალურ თვისებას ვერ დავინახავდით, – აცხადებს ექსპერტი.

როგორ უნდა გახდეს არაქარიზმატული პიროვნება პრეზიდენტი, ეს თავისუფალ დემოკრატ ოთარ კვირიკაშვილსაც რთულად წარმოუდგენია. მისი აზრით, პოლიტიკას ქარიზმა უხდება.

– 70-წლიანი დამყაყებული კომუნისტური რეჟიმის დასრულების შემდეგ, საქართველოს მოსახლეობამ ხმათა დიდი უმრავლესობით აირჩია პრეზიდენტად ქარიზმატული ზვიად გამსახურდია, რომელიც ძალიან მალე ჩამოაგდეს. ამის შემდეგ პრეზიდენტად უკვე შევარდნაძე აირჩიეს, რომელიც „დასტოინ“ პოლიტიკოსად ითვლებოდა. რაღაც დროის შემდეგ ის ქარიზმატული სააკაშვილით შეიცვალა.

ეს ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ მოსახლეობის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი ცვალებადია. ამის მიუხედავად, ყველა ვთანხმდებით იმაზე, რომ პრეზიდენტი მაინც უნდა იყოს ქარიზმატული, – აცხადებს „ახალ თაობასთან“ საუბარში ოთარ კვირიკაშვილი.



მისი თქმით, ქარიზმატულობა პრეზიდენტისთვის განსაკუთრებით ამ ვითარებაშია აუცილებელი.

– ქარიზმატულობა ნიშნავს დამოუკიდებლობას. დამოუკიდებელი პრეზიდენტი რაღაც პროცესებს აბალანსებს. გიორგი მარგველაშვილის მმართველობის სტილი დიდად არ მომწონს, მაგრამ აბა წარმოიდგინეთ რა მოხდებოდა, ისიც რომ კობახიძესავით მორჩილი იყოს, ან კვირიკაშვილივით, სულ მთლად ჩრდილოეთ კორეას დავემსგავსებოდით, – მიიჩნევს თავისუფალი დემოკრატების წევრი.

კვირიკაშვილის თქმით, არაქარიზმატულ ლიდერებს „ოცნება“ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე ეძებს.

– აქ, ეტყობა, „ქართული ოცნების“ ინტერესები იკვეთება. რაკი ამ თემაზე დაიწყო საუბარი, გამოდის, რომ ხელისუფლება საპრეზიდენტო კანდიდატად ეძებს რაღაც რობოტს, როგორებსაც პრემიერებად ნიშნავენ. ასეთ ადამიანებს როგორც უნდა, ისე ატრიალებენ, – აცხადებს ოთარ კვირიკაშვილი.

ყოფილი პოლიტდევნილის გიგლა ბარამიძის აზრით, პრეზიდენტს ქარიზმაც უნდა ჰქონდეს და ხალხიც იცნობდეს.

– პრეზიდენტი ისეთი უნდა იყოს, როგორსაც ხალხი აირჩევს. 2013 წელს თითქოს სახალხო არჩევნები ჩატარდა, მაგრამ სინამდვილეში ივანიშვილმა ისე დაგვისვა ერთი პიროვნება პრეზიდენტად, რომ მას ხალხი არც კი იცნობდა.

საქართველო არის პატარა ქვეყანა და მის პრეზიდენტს აქვს შეზღუდული უფლებები. აქედან გამომდინარე, პრეზიდენტი საზოგადოებისთვის რაღაცით მაინც უნდა იყოს ცნობილი და გამორჩეული. მის სიტყვას ფასი უნდა ჰქონდეს და ხალხი პატივს სცემდეს, – ამბობს „ახალ თაობასთან“ საუბარში ბარამიძე.

მისი თქმით, პრეზიდენტის ინსტიტუტი თუ შენარჩუნდა, მისი არჩევა პირდაპირი წესით უნდა მოხდეს.

ბარამიძის თქმით, არ შეიძლება, ქართულ რეალობას რომელიმე ქვეყნის მოდელი მოარგო.

– ამა თუ იმ ქვეყნების მმართველობის მოდელების გადმოღებას თავი უნდა დავანებოთ. ევროპაში ბევრი კარგი რამეა და ის გადმოვიღოთ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საომარ მდგომარეობაში ვართ. მიწები გვაქვს დაკარგული და უცხო ქვეყნის ჯარი გვიდგას ცხვირწინ.





ეს ყველაფერი დაგვავიწყდა, არასამთავრობოები და გაუნათლებელი პოლიტიკოსები ხშირად ისე მსჯელობენ, თითქოს შვეიცარია ან რომელიმე სხვა აყვავებული ქვეყანა ვიყოთ, – აღნიშნავს ყოფილი პოლიტდევნილი.

მისივე თქმით, პრეზიდენტს აუცილებლად უნდა ჰქონდეს ქარიზმა და, რაც მთავარია, სახელმწიფოებრივად აზროვნებდეს.

◆ ◆ ◆

სანამ პოლიტიკოსები პრეზიდენტის უფლებებზე, მის არჩევის წესსა და უნარ-ჩევებზე საუბრობენ, ერმა მისთვის ახალი უფლების მინიჭება მოითხოვა.

სოციალურ ქსელებში გაჩნდა მოთხოვნა, რომ პრეზიდენტს ეროვნული ნაკრების ფეხბურთელებთან ერთად დაევალოს სახელმწიფო ჰიმნის შესრულება. 28 მარტს მარგველაშვილმა ფეხბურთელებთან ერთად იმღერა და ნაკრებმა ამხანაგურ მატჩში მეტოქე ანგარიშით 5:0 დაამარცხა.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# „შალვა ოგბაიძეს გადავაფარეთ სუდარა, როგორც მიცვალებულს, და ისე გავიყვანეთ“

გულიკო ბალაძე

**პროკურატურა 26 მაისის დარბევის ეპიზოდებს იძიებს. ამჯერად საქმე შალვა ოგბაიძის მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობის ეპიზოდის გამოძიებას ეხება. ამ საქმეზე პარლამენტის ყოფილი წევრი დიმიტრი ლორთქიფანიძე დაიკითხა.**



## როგორ გაიტაცა პაციენტი საავადმყოფოდან დიმიტრი ლორთქიფანიძემ

***— ბატონო დიმიტრი, რა აინტერესებდა გამოძიებას ამ საქმეზე?***

— პროკურატურას აინტერესებს 26 მაისის ის ეპიზოდი, რომელიც ეხება შალვა ოგბაიძეს. 26 მაისის ამ ეპიზოდზე გამოძიების შედეგები, ჯერჯერობით, ცნობილი არ არის. ამ საქმეში არის ეპიზოდი, რომელზეც არც მე, არც ჩემს მეგობრებს და, მით უმეტეს, შალვა ოგბაიძეს საჯაროდ არასოდეს გვისაუბრია.

***— შეგიძლიათ დღეს ისაუბროთ?***

— აქამდე არ ვსაუბრობდით იმიტომ, რომ გამოძიების ინტერესი დაცული ყოფილიყო. დღეს უკვე შეგვიძლია ამ ეპიზოდზე საჯაროდ საუბარი. 26 მაისს ბატონ შალვას და მის შვილს ლევან ოგბაიძეს უმოწყალოდ სცემეს. ბატონი შალვა გაატარეს დუბინკების მწკრივში და გრძნობა დააკარგვინეს. შემდეგ ის რესპუბლიკური საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში მოხვდა. უგონო მდგომარეობაში იყო, სხეულზე ნახეთქები ჰქონდა. გარეთ მას ძალოვნები ელოდებოდნენ, საავადმყოფოდან პოლიციის სამმართველოში გადაყვანას და წამებას უპირებდნენ.

***— პოლიციის სამმართველოში გადაყვანა რატომ უნდოდათ?***

— უნდოდათ მისგან მიეღოთ გარკვეული ინფორმაცია, რითაც დაინტერესებული იყო სააკაშვილის რეჟიმი.

***— თქვენთვის საიდან გახდა ცნობილი, რომ ოგბაიძე პოლიციის სამმართველოში უნდა გადაეყვანათ და ისევ უნდა ეწამებინათ?***

— ამის თქმის საფუძველს მაძლევს ის, რომ ბატონი ოგბაიძე დააკავეს რუსთაველის გამზირზე. მანამდე შალვა ოგბაიძეს უმოწყალოდ, გონების დაკარგვამდე სცემეს. საავადმყოფოში მას თავზე ადგა ბადრაგი. მის გადასაყვანად გამზადებული იყო საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი. ისინი იდენტიფიცირებული არიან. ერთ-ერთი პატრულ-ინსპექტორის ვინაობა გამოძიებისთვის ცნობილია.

მაშინ პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გახლდით. შალვა ოგბაიძის მეუღლემ, ქალბატონმა ქეთევან ოგბაიძემ დამირეკა და მითხრა, რომ შალვა უმოწყალოდაა ნაცემი, უგონო მდგომარეობაშია რესპუბლიკურ საავადმყოფოში, ვერ ლაპარაკობს, უნდათ პოლიციის სამმართველოში გადაიყვანონ, გვიშველეთ რამე და აქედან გაგვაყვანინეთო. იმ დროს ჩემთან იმყოფებოდა დავით ლორთქიფანიძე, რომელიც მაშინ ერთ-ერთი ფრაქციის აპარატის თანამშრომელი გახლდათ.

მე, დავით ლორთქიფანიძე და ალექსანდრე ყუფარაძე (ახლა გარდაცვლილი გახლავთ) მივედით საავადმყოფოში, სადაც ვნახეთ შალვა ოგბაიძე უგონო მდგომარეობაში. მის გონზე მოსვლას სპეცრაზმელები ელოდებოდნენ, რომ სამმართველოში გადაეყვანათ.

***— თქვენ ოფიციალურად მოგცეს უფლება, გენახათ?***

— თავიდან არ მიშვებდნენ, მაგრამ პირადობის მოწმობა ვაჩვენე და ვუთხარი, რომ პარლამენტის წევრი და ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე ვიყავი. შალვა ოგბაიძესთან პალატაში ვნახე გივი ფალიაშვილი, ზაქარია ფალიაშვილის ნათესავი.

ბატონ შალვას ტანზე 12-14 ნატყვიარი (რეზინის ტყვიებს ვგულისხმობ) და სერიოზული დაზიანებები ჰქონდა, დუბინკებით ცემის შედეგად. ძნელად შემოდიოდა კონტაქტში. კართან და გასასვლელში სპეცრაზმი იდგა. შალვა ოგბაიძეზე ხორციელდებოდა მუქარა ინსპექტორის მხრიდან. ამიტომ შალვა ოგბაიძის იქიდან გაყვანა გადავწყვიტეთ. გამოვიძახეთ ერთ-ერთი კერძო კომპანიის მანქანა. მე და დავით ლორთქიფანიძემ თეთრი ხალათები ჩავიცვით. პირადად გავედით და შემოვიტანეთ საკაცე.

***— საავადმყოფოს პერსონალი გეხმარებოდათ?***

— დიახ. მინდა საგანგებოდ აღვნიშნო, რომ ისინი იყვნენ სოლიდარული ბატონ შალვას მიმართ. მათ შესაძლებლობა მოგვცეს, ბატონი შალვა იქიდან გაგვეყვანა. დიდ მადლობა მათ ამისთვის. ოფიციალური ვერსიით, შალვა ოგბაიძე თოდუას ცენტრში გადაგვყავდა. ბადრაგისთვის კი გვქონდა მეორე ვერსია, თითქოს მიცვალებული გაგვყავდა.

ჯერ გამოვიძახეთ სასწრაფო დახმარების მანქანა. ვიდრე გავიყვანდით, წინა სავარძელში წინასწარ მოვათავსეთ ქალბატონი ქეთევანი. ბატონი შალვა მოვათავსეთ გორგოლაჭებიან საკაცეზე, გადავაფარეთ სუდარა, როგორც მიცვალებულს, და ისე გავიყვანეთ. გავიყვანეთ თუ არა, შევსვით უკან ძარაში.

გარკვეული პერიოდის განმავლობაში ვსდიეთ ამ მანქანას და შემდეგ, როცა ვიგრძენით, რომ საფრთხე აღარ ემუქრებოდათ, დავშორდით. ჩვენც არ ვკითხეთ და არც უნდა გვცოდნოდა, სად წაიყვანდა ქალბატონი ქეთევანი ბატონ შალვას.

გარკვეული პერიოდის განმავლობაში ის გადამალული იყო. შეიძლება ვინმემ ჩვენს საქციელში დანაშაულის კვალი დაინახოს, რადგან დაკავებული პირი გავიტაცეთ საავადმყოფოდან, მაგრამ, როგორც პარლამენტის წევრი, ვმოქმედებდი ადამიანის უფლებათა კონვენციის იმ მუხლის ფარგლებში, რომელიც ადამიანს იცავს წამებისგან, რადგან ვიცოდი, რომ ბატონი შალვა შეიძლებოდა დაქვემდებარებოდა წამებას. აქედან ერთადერთი გამოსავალი იყო, გადამერჩინა წამებისგან ნებისმიერი გზით და საშუალებით.

***— კარგად მოგიფიქრებიათ.***

— ჩემი საპარლამენტო საქმიანობის ისტორიაში არის კიდევ ასეთი ეპიზოდი – მე, როგორც პარლამენტის წევრმა, მივიღე სიგნალი, რომ მე-8 საპატიმრო დაწესებულებაში აწამებდნენ პატიმარ ბადრი უსოიანს.

მე-8 დაწესებულებაში ღამის 11-ის ნახევარზე მივედი. ეზოში უსოიანის ოჯახის წევრები და დიდი რაოდენობით ეთნიკურად ქურთი მოქალაქეები დამხვდნენ. მეხვეწებოდნენ, შვილი გადაგვირჩინეთო. დაწესებულებაში არ შემიშვეს. მაშინ მივიღე გადაწყვეტილება და გალავანზე გადავხტი.

***— მცველებმა არ დაგინახეს?***

— დამინახეს და დამაკავეს კიდეც, მაგრამ ვერაფერი მავნეს. ეს იყო 2012 წლის არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე და ხელისუფლებას ასეთი სკანდალი არ სჭირდებოდა. ამიტომ ისინი იძულებული გახდნენ, შევეშვი და მომენახულებინა ბადრი უსოიანი.

***— ანუ იმ ბოლო წუთამდე, სანამ არჩევნებს წააგებდნენ, სააკაშვილი და მისი დამქაშები პატიმრებს ისევ აწამებდნენ?***

— რა თქმა უნდა, ბოლო წუთამდე მიმართავდნენ ადამიანების წამებას. ძალიან ბევრი ისტორია მოვისმინე პატიმრებისგან შემდგომი, მათ მიმართ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შესახებ და, ვფიქრობ, რითაც შევძელი, დავეხმარე.

***— უსოიანი ნაწამები იყო?***

— უსოიანი ნაწამები იყო, ვენები ჰქონდა გადაჭრილი და დამამშვიდებელი საშუალებები ჰქონდა გაკეთებული. იქიდან გამოვიტანე ინფორმაცია მისი მდგომარეობის შესახებ. ავუყვანეთ ადვოკატი.

***— ვინ იყო ის ინსპექტორი, რომელიც შალვა ოგბაიძეს ემუქრებოდა?***

— მისი გვარი, ვისზეც არის საუბარი, იდენტიფიცირებულია და მის მიმართ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრებას ველოდები. ის საქართველოში არ იმყოფება.

***— სახელსა და გვარს არ ამბობთ?***

— არა, გამოძიებას ხელს შევუშლით.

# როგორ გადანაწილდება ქულები დარღვევებზე მართვის მოწმობის 100-ქულიანი სისტემის ამოქმედების შემდეგ

**საგზაო უსაფრთხოების შესახებ კანონის განხილვას, რომელიც მართვის მოწმობის 100-ქულიანი სისტემის დაწესებას გულისხმობს, პარლამენტი სავარაუდოდ მომდევნო კვირიდან დაუბრუნდება.**




ცვლილების მიხედვით, საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც მართვის მოწმობა აქვს, წლის დასაწყისში – 1 იანვარს მიენიჭება 100 ქულა. იმ შემთხვევაში, თუ მძღოლს მართვის მოწმობაზე დარიცხული ქულები ამოეწურება წლის დასასრულამდე, მას მართვის უფლება 1 წლის ვადით შეუჩერდება.

მართვის მოწმობის გაუქმების შესახებ მოქალაქეს ეცნობება მაშინ, ანუ გამაფრთხილებელ შეტყობინებას მიიღებს, თუკი მოწმობაზე დარიცხული ქულების რაოდენობა შემცირდება 20 ქულამდე.

ქულების მინიმალური დანაკლისი არის 5, ხოლო მაქსიმალური 40 ქულა.

ჩვენ დავინტერესდით თუ რამდენი ქულის დაკლებას ითვალისწინებს ესა თუ ის დარღვევა.

კანონში დაგეგმილი ცვლილებების მიხედვით, სატრანსპორტო საშუალების მართვა ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში, ანდა სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა ასეთ მდგომარეობაში მყოფი პირისათვის, ითვალისწინებს 20 ქულას, ამ დანაშაულის განმეორებით ჩადენა 1 წლის ვადაში ითვალისწინებს 30, ხოლო სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა წინასწარი შეცნობით ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში მყოფი პირისათვის, ითვალისწინებს 30 ქულის დაკლებას.

მართვის მოწმობის 100-ქულიანი სისტემა წლის ბოლომდე ამოქმედდება.

125-ე მუხლი, რომელიც სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევას გულისხმობს, ისჯება როგორც 5 ქულით, ისე უმაღლესი 40 ქულით.

აი, მაგალითად, სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ მოძრაობის დადგენილი სიჩქარის გადაჭარბება 15 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით, თუკი იგი სამგზავრო გადაყვანას ახორციელებს, ამისთვის ჩამოგეჭრებათ 25 ქულა.

სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ მოძრაობის დადგენილი სიჩქარის გადაჭარბება 15 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით, რომელსაც მოჰყვა საავარიო ვითარების შექმნა ან მოძრაობის შეფერხება, 30 ქულის ჩამოჭრას ითვალისწინებს.

სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ მოძრაობის დადგენილი სიჩქარის გადაჭარბება 15 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით, რომელსაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, სხვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება, ამ სახის სამართალდარღვევა 40 ქულით დაისჯება.

მართვის მოწმობის პრაქტიკულ გამოცდაში ცვლილება შევა.

ერთ-ერთი ყველაზე დაბალი ქულა აქვს მინიჭებული მოტოციკლით მოძრაობისას მძღოლის ან/და მგზავრის მიერ შეკრული მოტოჩაფხუტის გამოუყენებლობას და ითვალისწინებს 5 ქულის დაკლებას.

**კომერსანტი**

# შალვა შავგულიძე: „მცდელობაა, რომ პრეზიდენტის ინსტიტუტი კონტროლის ქვეშ მოაქციონ, ასე ჩვენ მივიღებთ ერთპარტიულ დიქტატურას“



— საკონსტიტუციო კომისიის საქმიანობა, პასუხები მიმართულია ხელისუფლების უზურპაციისკენ მმართველი ძალის მიერ. სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ ასე ჩვენ მივიღებთ ერთპარტიულ დიქტატურას.

ამის შესახებ ჟურნალისტებს „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერმა შალვა შავგულიძემ განუცხადა, რომელმაც საერთაშორისო კონფერენციაში „საკონსტიტუციო რეფორმა საქართველოში“ მიიღო მონაწილეობა.

შავგულიძის თქმით, არსებული კონტექსტიდან და ქვეყნის რეალობიდან გამომდინარე, ჩვენ უნდა ვეცადოთ, პრეზიდენტის პირდაპირი არჩევის წესი შევინარჩუნოთ.

— ვისმენთ რაღაც განმარტებებს, თითქოს არაპირდაპირი წესით არჩეულ პრეზიდენტს ექნება მეტი დამოუკიდებლობა პოლიტიკური ძალებისაგან, მაშინ როდესაც, ჩვენს რეალობაში საკონსტიტუციო უმრავლესობა დანიშნავს პრეზიდენტს, როგორ შეიძლება მას ჰქონდეს მეტი დამოუკიდებლობა პოლიტიკური ძალებისაგან, ვიდრე საყოველთაო წესით მოსახლეობისგან არჩეულ პრეზიდენტს?

შეხვედრაზე მე პირადად დავსვი შეკითხვა პარლამენტის თავმჯდომარის მიმართ და ვერ მოვისმინე პასუხი საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით.

თუ პარლამენტის მიერ არჩეული პრეზიდენტი გვინდა, მაშინ პარლამენტი უნდა იყოს ისეთი სამართლიანი წესით არჩეული, რომ იქ საზოგადოების და მოსახლეობის ნება პროპორციულად იყოს განაწილებული და რამდენად მზად არის მმართველი პოლიტიკური ძალა რეალური სამართლიანი საარჩევნო სისტემის შემოთავაზებისთვის?

შთაბეჭდილება, ჩვენდა სამწუხაროდ, არის ერთი – ამ კომისიის შექმნა, ამ კომისიის საქმიანობა, პასუხები, რასაც მმართველი ძალისაგან ვისმენთ, მიმართულია მმართველი ძალის მიერ ხელისუფლების უზურპაციისკენ.

რეალურად ერთადერთი ინსტიტუტი, რომლის სრული კონტროლი ვერ მოახერხა მმართველმა ძალამ, ეს არის პრეზიდენტის ინსტიტუტი და არის მრავალმხრივი მცდელობები, რომ პრეზიდენტის ინსტიტუტიც სრული კონტროლის ქვეშ მოაქციონ.

ასე ჩვენ მივიღებთ ერთპარტიულ დიქტატურას, მთელი პასუხისმგებლობით ვამბობ ამ სიტყვას. ასეთი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ჩვენ ერთხელ უკვე გვქონდა და არ გამოგვადგა, – განაცხადა შალვა შავგულიძემ.

**ინტერპრესნიუსი**

# ამერიკელი გენერალი: „რუსეთი მეზობლებს ბირთვული იარაღით აშინებს“

## რას ნიშნავს ლავროვის ახალი განცხადება?

მარიამ მჭედლიშვილი

– რუსეთს არ გააჩნია არავითარი ტერიტორიული პრეტენზიები მეზობელი სახელმწიფოების მიმართ, მაგრამ ის გასაჭირში არ მიატოვებს მათ მოსახლეობას.

ეს განცხადება რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გააკეთა.

მან დააზუსტა, რომ რუსეთი არ მიატოვებს დონბასის მცხოვრებლებს.

კრემლმა შეიძლება „გასაჭირში არ მიატოვოს“ ხალხი საქართველოს არამარტო ოკუპირებულ რეგიონებშიც. ამგვარ საფრთხეზე ქართველი ექსპერტები ამ განცხადებამდეც საუბრობდნენ.

რუსეთს შეუძლია საკუთარი მოქალაქეებისა და უსაფრთხოების დაცვის საბაბით საქართველოში ახალი ინტერვენცია მოაწყოს. ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ რუსეთის მოქალაქეობას საქართველოში მცხოვრები სულ უფრო მეტი ადამიანი მოინდომებს და მიიღებს. რუსეთის მოქალაქეობის მიღება მარტივდება. მას დაუბრკოლებლად აძლევენ ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების მოქალაქეობის არმქონე პირებს.



რამდენიმე თვეა, რუსეთის საგარეო უწყება და მისი ხელმძღვანელი სერგეი ლავროვი საქართველოს მიმართ მწვავე განცხადებებს აკეთებენ.

ამ განცხადებებში საქართველოს ხელისუფლებას ადანაშაულებენ ანტირუსულ რიტორიკაში, არასწორი ინფორმაციის გავრცელებაში, საქართველოს მოიხსენიებენ ქვეყნად, რომლის ტერიტორიაზე გადაადგილდებიან ტერორისტები.

ანალიტიკოსებისათვის ასეთი ნაბიჯები კიდევ უფრო დამაფიქრებელია იმ ფონზე, როცა რუსეთი აგრძელებს საოკუპაციო ზოლების გადმოწევას და ოკუპირებული რეგიონების ანექსიას.

დასავლელი ექსპერტების ვარაუდით, ნატო-რუსეთის დაპირისპირებამ შეიძლება კავკასიაშიც იჩინოს თავი. თუმცა, მხარეები კავკასიისთვის ჯერ ვერ იცლიან.

– რუსეთი უკრაინას იყენებს საცდელ პოლიგონად თავისი უახლესი იარაღისათვის, – აცხადებს ამერიკელი გენერალი, ევროპაში ნატოს სარდალი კერტის სკაპაროტი.

მისი განცხადებით, ნატოს რუსეთთან დასაპირისპირებლად ევროპაში მეტი ჯარი და თანამედროვე იარაღი სჭირდება.

ამერიკელი გენერალი აღნიშნავს, რომ ამერიკელი სამხედროები მსოფლიოში საუკეთესონი არიან და მათ შესწევთ რუსეთის შეკავების უნარი.

– რუსეთი არა მარტო ახდენს საკუთარი ბირთვული არსენალის აღდგენასა და მოდერნიზებას, არამედ ბირთვულ იარაღს იყენებს ქვეყნის პერიფერიაზე მყოფი სახელმწიფოების დასაშინებლად, – ამბობს სკაპაროტი.



„თაიმის“ შეფასებით, რუსეთი იბრძვის თავის ორბიტაზე უკრაინის შენარჩუნებისთვის. უკრაინის მთელ ტერიტორიაზე რუსეთი ვერ შეიჭრება. ამას მოჰყვება რუსეთის არმიაში დიდი დანაკარგები და ფინანსური ხარჯები. ამიტომ პუტინი აღვივებს არასტაბილურობას უკრაინის აღმოსავლეთ ნაწილში. მოსკოვი აიძულებს უკრაინის ხელისუფლებას, მისცეს ვეტოს უფლება თვითგამოცხადებულ რესპუბლიკებს. მათ დამოუკიდებლად უნდა იმოქმედონ საგარეო და საშინაო ვაჭრობის სფეროში.

უკრაინის რუსეთისგან დაცვა, გამოცემის თქმით, ბევრ დასავლელ ლიდერს სურს, მაგრამ ისინი ერიდებიან ამისთვის ხარჯების გაღებას. ასეთ დანახარჯებს ხელმძღვანელებს მათივე მოქალაქეები არ აპატიებენ.

15 მარტს კიევმა ოფიციალურად გამოუცხადა ბლოკადა სეპარატისტულ რეგიონებს. თვითგამოცხადებული რესპუბლიკები დანებებას არ აპირებენ. ამან, ბევრი მიმომხილველის აზრით, უკრაინის პრობლემა ჩიხში შეიყვანა.

მოსალოდნელია, რომ მოსკოვმა გააფორმოს სავაჭრო და ეკონომიკური შეთანხმებები სეპარატისტულ ტერიტორიებთან. რუსეთთან კონფლიქტს უკვე შეეწირა უკრაინის 10.000 მოქალაქე.

# ნიკა ვაშაკიძე: „რუსეთი პრაქტიკულად იზოლაციაში მოექცა და ეს ზეწოლა კიდევ უნდა გაძლიერდეს“

**გაეროს უშიშროების საბჭოს წევრებმა საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში – აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში – რუსეთის ქმედებები დაგმეს.**

**საკითხი უკრაინის წარმომადგენლების მიერ იქნა დაყენებული. აღნიშნულ თემას გამოხმაურებები მოჰყვა რუსეთის მხრიდან.**

**გაეროში რუსეთის მუდმივი წარმომადგენლის მოვალეობის შემსრულებლის პეტრ ილიჩის თქმით, რუსეთი არ აპირებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობის გადახედვას.**

ილიჩევის თქმით, საქართველოს მცდელობებმა, რომ გაეროს ფორმატში მოხდეს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხის განხილვა, შესაძლოა ჟენევის ფორმატის დახურვა გამოიწვიოს.

შეფასებები გაკეთდა ქართული მხარის მიერ. საქართველოს მხრიდან საერთაშორისო პასიურობის ფონზე ამ პროცესს სწორს და სასარგებლოს უწოდებს საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე, „ახალი ერთობა საქართველოსთვის“ წევრი ნიკოლოზ ვაშაკიძე.

როგორც ის „ნიუპოსტთან“ ამბობს, ამ ნაბიჯით იკვეთება, რომ საერთაშორისო საზოგადოება რუსეთის ქცევით სერიოზულადაა გაღიზიანებული. დიპლომატი აცხადებს, რომ ეს პროცესი რუსეთს დისკომფორტს უქმნის, რაც მათ ისტერიულ რეაქციაშიც გამოიხატა.

– გაეროს უშიშროების საბჭოში გამართული პროცესი ძალიან კარგი, სწორი და სასარგებლოა. დიდი მადლობა ამისათვის უკრაინელებს.

თუმცა, საბჭოს დანარჩენი წევრების ერთსულოვნება საქართველოს მხარდაჭერასა და რუსეთის საქციელის დაგმობაში ძალიან ნიშანდობლივია. მით უმეტეს, რომ ეს ხდება საქართველოს ზოგადად საგარეო-პოლიტიკური და, კერძოდ, ამ საკითხშიც გამოვლენილი პასიურობის ფონზე.

როგორც ჩანს, მსოფლიო თანამეგობრობა სერიოზულადაა გაღიზიანებული რუსეთის ქცევით საერთაშორისო არენაზე.

რუსეთი ამჯერადაც საბჭოში პრაქტიკულად იზოლაციაში მოექცა და ეს, ბუნებრივია, მას სერიოზულ დისკომფორტს უქმნის.

ეს გამოიხატა თუნდაც იმ ისტერიულ რეაქციაში, რომელიც საბჭოს სხდომას და საბჭოს მნიშვნელოვან წევრთა პრესკონფერენციებს მოყვა. თავის კომენტარში რუსეთის წარმომადგენელი გაეროში პრაქტიკულად ღია შანტაჟზე გადავიდა. საქართველოს და მის, როგორც მან თქვა, „მფარველებს“ ის ჟენევის ფორმატის დახურვით დაემუქრა. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ ნებისმიერ ჯანსაღ მიდგომას რუსეთი საკითხის არასასურველ „პოლიტიზირებად“ ნათლავს და სიტუაციის შემდგომი არევით იმუქრება, – აცხადებს ვაშაკიძე და დასძენს, რომ ზეწოლის პროცესი კიდევ უნდა გაძლიერდეს და უნდა მოხდეს საერთაშორისო საზოგადოებისთვის სეპარატისტული რეჟიმების მიერ, რუსეთის ხელმძღვანელობით ჩადენილი დანაშაულების მაქსიმალური გაცნობა და მხილება.

– ბუნებრივია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ რუსეთზე ზეწოლა შესანელებელია. პირიქით, ის, რა თქმა უნდა, გასაძლიერებელია. ამავე დროს, ვინაიდან რუსეთი ცდილობს მაქსიმალურად შეაფერხოს საკითხის პოლიტიკური მოწესრიგება და ამას ნეგატიური ტერმინით, „პოლიტიზაციით“ ნათლავს, აუცილებელია სიმართლისა და საქართველოს პოზიციების მაქსიმალური გაძლიერება საკითხის ჰუმანიტარული განზომილების კუთხით.



ამ თვალსაზრისით საჭიროა სეპარატისტული რეჟიმების, მათ მიერ რუსეთის ხელმძღვანელობით ჩადენილი უმძიმესი დანაშაულების მაქსიმალური მხილება და გაცნობა საერთაშორისო საზოგადოებისათვის და, რაც მთავარია, ყველასათვის იმის მკაფიოდ ჩვენება, თუ როგორ ითელება ამ რეჟიმებისა და მათი მფარველის – რუსეთის – მიერ ადამიანის ელემენტარული უფლებები.

აქ აშკარად მოკლებული გვაქვს წლების მანძილზე ძალისხმევა და ბევრი რამის გაკეთება შეიძლება, რაც მეტად პრობლემურს გახდის რუსეთისთვის საკითხის ე.წ. „დეპოლიტიზაციას“ და მის მხოლოდ ჰუმანიტარულ ჭრილში გადატანას, – აცხადებს ნიკოლოზ ვაშაკიძე „ნიუპოსტთან“.

**ნიუპოსტი**

# „გაზის გაძვირება ინფლაციას 5%-მდე გაზრდის“




– თუ გარე მოლოდინებს გამოვრიცხავთ, სრულებით ნორმალურად მიმაჩნია, რომ 4%-იანი თარგეთი შენარჩუნდეს და ინფლაციური ტრენდი მაღალი არ იყოს. ამის წინაპირობა არსებობს, მაგრამ არის ფაქტორები, რაც შესაძლებელია დამატებით მაპროვოცირებელ ფაქტორებად ჩამოყალიბდეს, – ამის შესახებ ეკონომისტმა, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორმა ლევან კალანდაძემ რადიო „კომერსანტის გადაცემაში „ეკონომისტის დრო - ლევან ქისტაურთან ერთად“ განაცხადა.

– ბოლო პერიოდში ჩვენ უკვე გვესმის საუბარი ენერგომატარებლებზე ფასების კორექტირებასთან დაკავშირებით, რაც ნეგატიური გავლენის მქონე შეიძლება აღმოჩნდეს, ვგულისხმობ გაზის საცალო ტარიფს.

ჯერ არავინ არ საუბრობს ტარიფის გაზრდაზე, მაგრამ არსებული რეალობის გათვალისწინებით, ტარიფის გადახედვა ალბათ, ნეგატიური შედეგის მომტანი იქნება თითოეული ჩვენთაგანისთვის. აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ თავისი მასობრივი ხასიათის გათვალისწინებით, საერთო დანახარჯებში ხვედრითი წილის საკმაოდ დიდი ნაწილის არსებობის გამო, გაზის ტარიფის ცვლილებამ შესაძლოა, ინფლაციური ტრენდი კიდევ უფრო გაზარდოს. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ თამბაქოსგან განსხვავებით, ინფლაციური გადამდები ეფექტი როგორც ბენზინს, ისე გააჩნია გაზს. თუნდაც პურის საწარმოები, რომლებიც ძირითადად მუშაობენ ბუნებრივ აირზე და, შესაბამისად, მისი გაძვირება, სავარაუდოდ, აისახება პურის და ზოგადად პირველადი მოხმარების პროდუქტების ფასის ზრდაზეც.

იმ შემთხვევაში, თუ გაზის ტარიფის ზრდა არ მოხდა, მაშინ გვექნება 4%-იანი ზრდა, თუმცა, თუ ტარიფი დაკორექტირდა, ამ შემთხვევაში მიზნობრივ თარგეთს წელს ნამდვილად ვერ დავიჭერთ. თუ სავალუტო შემოდინებები გვექნება, ლარის კურსი იქნება სტაბილური, 5-6%-იანი ინფლაცია აწევადი ტვირთი იქნება. ვიმეორებ, ეს იმ შემთხვევაში, თუ გაზის ტარიფის გაზრდა მოხდა, – განაცხადა ლევან კალანდაძემ.

**კომერსანტი**

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ია თაბაგარი: „საქართველოს არ აქვს სამთო ცნობადობა“

**– საქართველოს არ აქვს სამთო ცნობადობა. არც ინფრასტრუქტურა აქვს. სამთო ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით ყოველი წელი წინაზე უკეთესია, მაგრამ განვითარების ეს ტემპი საკმარისი არ არის. მაგალითად, კურორტ გოდერძიზე, სადაც ერთდროულად 6.000 ადამიანს შეუძლია სრიალი, ამჟამად მხოლოდ 20 ადამიანი თუ სრიალებს. რატომ? გზა არ არის! ამ კურორტზე რომ მოხვდეთ, ბათუმიდან 5 საათი უნდა იაროთ, – ამბობს „მთის ამბებთან“ საუბარში ტუროპერატორთა ასოციაციის თავმჯდომარე, ია თაბაგარი.**



ტურიზმის ეროვნული სააგენტო წელს ქვეყანაში 7 მილიონამდე ვიზიტორის და 2 მილიონზე მეტი ტურისტის ჩამოსვლას ელოდება.

საქართველოს შეუძლია ტურისტებს კავკასიონიდან შავი ზღვის სანაპიროს ფარგლებში მრავალფეროვანი ტურისტული მომსახურება შესთავაზოს: მთამსვლელობა, ფეხით მოგზაურობა, მთებში ველოსიპედებით მოგზაურობა, თხილამურებით სრიალი, პარაპლანით ფრენა, ნავით გასეირნება, რაფტინგი თუ ველური ბუნების მონახულება. მსოფლიოში ძალიან ცოტაა ისეთი ქვეყანა, სადაც 250 კმ-ის რადიუსში სუბტროპიკული ტყე (მტირალას პარკი), ნახევარუდაბნო (ვაშლოვანი), ზღვის სანაპირო (აჭარა და გურია), სამთო კურორტები (მესტია, გუდაური, ბაკურიანი) და კარსტული მღვიმეები ერთად თანაარსებობს. როგორ იყენებს ამ პოტენციალს ქვეყანა და როგორ იყო ის წარმოდგენილი გერმანიის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე? ამ საკითხებზე „მთის ამბები“ ია თაბაგარს ესაუბრა.

***– თქვენ გერმანიაში გამართულ საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში – ITB BERLIN მონაწილეობდით. ამ გამოფენას, სადაც 180-ზე მეტი ქვეყანაა ხოლმე წარმოდგენილი, ტურისტული ინდუსტრიის 10 ათასზე მეტი წარმომადგენელი ესწრება. როგორ იყო წელს წარმოდგენილი საქართველო და რა შედეგებს უნდა ველოდოთ ამ გამოფენიდან?***

– გამოფენას 23 ქართული კომპანია ესწრებოდა. მოეწყო ღვინის დეგუსტაცია, გაიმართა ორმხრივი შეხვედრები საერთაშორისო ტუროპერატორებთან და ჟურნალისტებთან. ზოგადად, მოთხოვნა საქართველოზე არის და ის მზარდია. წელს, შარშანდელთან შედარებით, უცხოელი ტურისტების რაოდენობა, სავარაუდოდ, ისევ გაიზრდება, თუმცა, ეს საკმარისი არ არის.

უცხოელი მარკეტოლოგების შეფასებითაც კი, საქართველო თავისი ბუნებრივ-კლიმატური პირობებით გამორჩეული ქვეყანაა და ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა, რომ ტურიზმში განსხვავებული ნიშა გვქონდეს. სამწუხაროდ, ჩვენ საქართველოს ტურისტულ პოტენციალს სრულად ვერ ვიყენებთ.

დღეს მთელ მსოფლიოში ყველაზე დიდი მოთხოვნა სათავგადასავლო ტურიზმზეა, ჩვენ კი ამ მხრივ მომხმარებელს ვერაფერს ვთავაზობთ. არ გვაქვს სამთო ველოსიპედების და საცხენოსნო ტურები, სამთო ქოხები და ბილიკები, ჯომარდობისთვის და კლდეზე ცოცვისთვის მოწყობილი ინფრასტრუქტურა. მსოფლიო სათავგადასავლო ტურიზმში საქართველოს წილი მიზერულია, სამყარომ არ იცის, რატომ უნდა ჩამოვიდეს საქართველოში და აქ რისი ნახვა შეუძლია.

***– ITB BERLIN-ზე წელს პირველად იყო წარმოდგენილი სამეგრელოს და ზემო სვანეთის მაღალმთიანეთი. როგორ ჩაიარა ამ წარდგენამ? ზოგადად, როგორია საქართველოს მაღალმთიანეთის და სამთო კურორტების პოტენციალი და არის თუ არა ინტერესი უცხოეთში ამ კურორტების მიმართ?***

– ძალიან უცნაური იყო, რომ სამეგრელოს და ზემო სვანეთის მაღალმთიანეთი გერმანიაში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორმა და მისმა დელეგაციამ წარმოადგინა – ადამიანებმა, რომლებმაც არც უცხო ენა იცოდნენ და ზოგადად, არც ტურიზმის შესახებ ჰქონდათ ცოდნა და ინფორმაცია. რამდენიმეწუთიანი სარეკლამო რგოლის ჩვენება ასეთი მასშტაბის საერთაშორისო გამოფენისთვის საკმარისი არ არის.

რაც შეეხება მთის კურორტებს: საქართველოს არ აქვს სამთო ცნობადობა. არც ინფრასტრუქტურა აქვს. სამთო ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით ყოველი წელი წინაზე უკეთესია, მაგრამ განვითარების ეს ტემპი საკმარისი არ არის. მაგალითად, კურორტ გოდერძიზე, სადაც ერთდროულად 6.000 ადამიანს შეუძლია სრიალი, ამჟამად მხოლოდ 20 ადამიანი თუ სრიალებს. რატომ? გზა არ არის! ამ კურორტზე რომ მოხვდეთ, ბათუმიდან 5 საათი უნდა იაროთ. არც მესტია მუშაობს კარგად – ნაკლები უცხოელი ტურისტი მიდის იქ.

მესტია ახლა დაახლოებით ისეთ დონეზეა, გასული საუკუნის 40-იან წლებში ბაკურიანი რომ იყო. კიდევ უფრო ნაკლები მომხმარებელი ჰყავს თეთნულდს, რადგან ის შედარებით ახალი კურორტია.

კარგია საბაგიროები, ტრასებიც ასე თუ ისე მოწყობილია, მოთხილამურე პატრულიც პატრულირებს, რაც ძალიან კარგია, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ტრასების იქეთ ინფრასტრუქტურა არ არის. არა გვაქვს ტურისტული სასტუმრო ინფრასტრუქტურა და რაც გვაქვს, იქ ძალიან დაბალი ხარისხის მომსახურებაა. თვითონ ვარ მომხმარებელი და ეს კარგად ვიცი.

არც საკმარისი რაოდენობის კვალიფიციური სამთო გიდები გვყავს. ინფრასტრუქტურა ძალიან მნიშვნელოვანია. არ მინდა ამ სიტყვების თქმა, მაგრამ დავითგარეჯი გადაიქცა დიდ ტუალეტად. დღეში 1.000 კაცი ჩადის იქ და ტუალეტი არ არის.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ვიზრუნოთ არა მარტო იმაზე, რომ მეტი ტურისტი მოვიზიდოთ, არამედ იმაზეც, რომ მაღალმხარჯველი ტურისტი მოვიზიდოთ. საქართველოში ახლა ნაკლებშემოსავლიანი ტურისტები შემოდიან – პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან შემოსული ტურისტი აქ ბევრ ფულს არ ხარჯავს.

ჩვენ გვჭირდება ტურისტები მდიდარი და განვითარებული ქვეყნებიდან. ასეთი ქვეყნებია: იაპონია, ჰონკონგი, სინგაპური, სამხრეთ კორეა... ამ ქვეყნებს წინა წლებში ეკონომიკური კრიზისი არ შეხებია. საგანგებო მარკეტინგული პროგრამა უნდა შეიქმნას გერმანიის ბაზრისთვის. ეს არის ძალიან სტაბილური ბაზარი. სტატისტიკის მიხედვით, გერმანელები ყველაზე მოგზაური და ინტერესიანი ხალხია ევროპაში და ამავე დროს მაღალმხარჯველიც. ასეთი ქვეყნებიდან ჩამოსული ტურისტი მოითხოვს ხარისხიან მომსახურებას და დროთა განმავლობაში მიმწოდებელიც იძულებული გახდება, რომ სერვისი გააუმჯობესოს. დღეს ხარისხიან მომსახურებაზე მოთხოვნა საქართველოში არ არსებობს.

ჩვენი პრიორიტეტი მაღალმხარჯველი ტურისტების მოზიდვა უნდა იყოს. სპეციალური ნაბიჯები რომ გადავდგათ ამ მიმართულებით და მარკეტინგული კამპანიაც სწორად რომ წარვმართოთ, შედეგს ძალიან მალე მივიღებთ.

სახელმწიფომ კი ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს: მეტად იზრუნოს რეგიონებში სასტუმროებისთვის ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირისა თუ წყლის უწყვეტ მიწოდებასა და გზების ხარისხზე, განსაკუთრებით, მაღალმთიან რეგიონებში.

**კომერსანტი**

# ტერაბანკის პირველი შუალედური გათამაშების გამარჯვებული გამოვლენილია




ტერაბანკის სესხებისა და ანაბრების გათამაშების პირველ შუალედურ გათამაშებაში გამარჯვებული გამოვლენილია. **სახლის სასაჩუქრე ნაკრების მფლობელი** თამარ ტყავაშვილი გახდა. ნაკრებში შედის ჭკვიანი სახლის აღჭურვილობა, ვინილის საკრავი, Apple TV, ინტერნეტისა და ტელევიზიის ერთწლიანი პაკეტი, ჭკვიანი ყავის აპარატი და ლეგოს კონსტრუქტორი.

გამარჯვებულს კუთვნილი საჩუქრები ტერაბანკის სათავო ოფისში საზეიმო ვითარებაში გადაეცა.

„გათამაშების ფარგლებში გავხსენი ანაბარი ტერაბანკში და მოვიგე არაჩვეულებრივი პრიზები; განსაკუთრებით მომწონს ვინილის მუსიკალური საკრავი და ჭკვიანი ყავის აპარატი. დიდი მადლობა ტერაბანკს. წარმატებას ვუსურვებ დანარჩენ მონაწილეებს შუალედურ გათამაშებებში“, – განაცხადა თამარ ტყავაშვილმა.

ტერაბანკმა მასშტაბური, უპრეცედენტო გათამაშება სახელწოდებით „აიწყე ცხოვრება“ 22 თებერვალს დაიწყო და საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს მისცა შანსი, მარტივად ჩართულიყო გათამაშებაში მინიმუმ 1000 ერთეულის სესხის აღების ან ანაბრის გახსნის შემთხვევაში. სესხის აღებისას ყოველ 1000 ერთეულზე მომხმარებელს 1 ბილეთი გადაეცემა, ხოლო ანაბრის გახსნის შემთხვევაში **ბილეთების რაოდენობა ორმაგდება**. გათამაშება **15 ივნისამდე** გრძელდება და გაიმართება კიდევ 2 შუალედური და 1 ფინალური გათამაშება.

„20 მარტს გათამაშდა პირველი შუალედური პრიზი – სახლის სასაჩუქრე ნაკრები; ნივთები, რომელთა ქონაც ძალიან გვინდა. პირველი გამარჯვებული ავტომატურად მონაწილეობს ფინალურ გათამაშებაში და აქვს შანსი, „აიწყოს ცხოვრება“, ხოლო მომდევნო ორ შუალედურ გათამაშებას გამოეთიშება,“ – აცხადებს ტერაბანკის პროდუქტების განვითარების განყოფილების ხელმძღვანელი აკა სანიკიძე.

თამარ ტყავაშვილმა აღნიშნა, რომ ცხოვრებაში პირველად გაიმარჯვა და ფინალურ გათამაშებაში მთავარი პრიზების მოგების იმედი გაუჩნდა.

ფინალური გათამაშების გამარჯვებული მოიგებს გარემონტებულ ბინას ვაკეში, ახალ ავტომობილს Toiota RAV4, ხელფასს 2000 ლარის ოდენობით და საგზურს ევროპის ნებისმიერი მიმართულებით.

**შუალედური პრიზების გათამაშება** გაიმართება 20 აპრილს და 20 მაისს 20:00 საათზე ტერაბანკის ოფიციალურ Facebook გვერდზე ლაივსტრიმის მეშვეობით.

**ფინალური გათამაშება გაიმართება 20 ივნისს, 20:00 საათზე!**

გათამაშების ფარგლებში ტერაბანკში მოქმედებს განსაკუთრებული პირობები ვადიან ანაბრებსა და საკრედიტო პროდუქტებზე. პირობების გასაცნობად ეწვიეთ ტერაბანკის ოფიციალურ გვერდს: terabank.ge

# ავარიის შედეგად ორი ადამიანის გარდაცვალებაში ბრალდებულს სასამართლომ 14 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა

ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოებისა და ექსპლუატაციის წესების დარღვევის გამო, რამაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე და მძიმე დაზიანება, ასევე ორი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია, გ. ჩქოფოიას გორის რაიონულმა სასამართლომ 14 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მსჯავრდებულს პროკურატურა, სისხლის სამართლის კოდექსის 381-მუხლის პირველი ნაწილის და 276-ე მუხლის მე-2, მე-4 და მე-8 ნაწილების დარღვევაში ედავებოდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს" საქართველოს მთავარი პროკურატურიდან აცნობეს, სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ წარსულში რამდენჯერმე ნასამართლევი, პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი და სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლებაჩამორთმეული გოგიტა ჩქოფოია, 2016 წლის 18 მაისს, ქალაქ თბილისიდან კასპის მუნიციპალიტეტის მიმართულებით, ექსპლუატაციის წესების დარღვევით და გადაჭარბებული სიჩქარით მართავდა ავტომობილს. თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის 47-ე კილომეტრზე, სოფელ ოკამთან მოძრაობისას მთვრალ მდგომარეობაში მყოფმა გოგიტა ჩქოფოიამ ვერ უზრუნველყო მოძრაობის უსაფრთხოების დაცვა, რის შედეგადაც მისი მართვის ქვეშ მყოფი ავტომობილი გადავიდა გზის სავალი ნაწილიდან და ბეტონის ზღუდეს შეეჯახა.

ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ავტომანქანაში მყოფი ორი მგზავრი ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო ორმა ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე და მძიმე ხარისხის დაზიანებები მიიღო.

უწყების ინფორმაციით, სამართალდამცველებმა გოგიტა ჩქოფოია სასამართლო განჩინების საფუძველზე 20 ივლისს თბილისში დააკავეს. მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 381-ე მუხლის პირველი ნაწილით (ძალაში შესული განაჩენის შეუსრულებლობა) და 276-ე მუხლის მე-2, მე-4 და მე-8 ნაწილებით (მთვრალ მდგომარეობაში ჩადენილი ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოებისა ან ექსპლუატაციის წესების დარღვევა, რამაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე და მძიმე დაზიანება, ასევე ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია) წარედგინა. ბრალდებული არ აღიარებდა ჩადენილ დანაშაულს და ცდილობდა გამოძიების შეცდომაში შეყვანას. იგი განმარტავდა, რომ საჭესთან ის არ მჯდარა და ავტომანქანას ავარიის შედეგად გარდაცვლილი პირი მართავდა.

გორის რაიონულმა სასამართლომ გოგიტა ჩქოფოია სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებებში და დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის სახედ და ზომად 14 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა. მასვე სამი წლით ჩამოერთვა ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება.



**ინტერპრესნიუსი**

## ქუთაისში ავარიას ქვეითად მოსიარულე ემსხვერპლა



ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ქუთაისში ერთი ადამიანი გარდაიცვალა. შემთხვევა დღეს გორის ქუჩაზე მოხდა.

თვითმხილველების თქმით, გადაჭარბებული სიჩქარით მოძრავი ავტომობილი ქვეითად მოსიარულეს დაეჯახა, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის გარდაცვალება გამოიწვია.

**ინტერპრესნიუსი**

## ტყიბულში მამაკაცი მოკლეს




ტყიბულში დაახლოებით 50 წლამდე ასაკის მამაკაცი მოკლეს. შემთხვევა წუხელ მოხდა. მამაკაცი სამუშაოდ მიდიოდა, რა დროსაც მას დაუდგენელმა პირმა ცეცხლსასროლი იარაღით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა.

ადგილობრივებმა სასწრაფო დახმარების ბრიგადა გამოიძახეს, თუმცა ადგილზე მისულ ექიმებს მამაკაცი გარდაცვლილი დახვდათ.

როგორც „ინტერპრესნიუსს" შსს-ში განუცხადეს, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108 მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

**ინტერპრესნიუსი**

## შსს-მ უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო



შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის მესტიის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, 1977 წელს დაბადებული ხ.ც. ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს" სამინისტროდან აცნობეს, სამართალდამცველებმა, ბრალდებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, „აკ-74"-ის მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 2 მჭიდი და 14 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს.

– ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით), – ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

**ინტერპრესნიუსი**

## უკრაინის ენერგეტიკის მინისტრის ყოფილ მოადგილეს საექსტრადიციო პატიმრობა შეეფარდა



თბილისის საქალაქო სასამართლო უკრაინის ინტერპოლის მიერ ძებნილი პირისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებაზე განცხადებას ავრცელებს. როგორც სასამართლოში განმარტავენ, სასამართლოს მიერ იგორ კ.-ის მიმართ 3 თვის ვადით საექსტრადიციო პატიმრობის გამოყენებას საფუძვლად დაედო მიმალვის საფრთხე, რომელიც სასამართლომ საკმაოდ მაღალი რისკის შემცველად მიიჩნია.

სასამართლოში ასევე აღნიშნავენ, რომ საქალაქო სასამართლომ, უკრაინის ინტერპოლის მიერ ძებნილს აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობა 28 მარტს შეუფარდა, რითაც საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიამ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა ბრალდებულის მიმართ საექსტრადიციო პატიმრობის გამოყენების შესახებ.

იგორ კ. თბილისის საერთაშორისო აეროპორტში სამართალდამცველებმა 2017 წლის 25 მარტს დააკავეს.

– წარმოდგენილი შუამდგომლობის თანახმად, იგორ კ.-ს, უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად, ბრალად ედება კრიმინალური ორგანიზაციის შექმნა, მითვისება, გაფლანგვა ან ქონების უკანონო მითვისება კანონის ბოროტად გამოყენებით, იმ პერიოდში, როდესაც ის უკრაინის ნავთობისა და ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის, ასევე ნავთობის, გაზის, ტორფის დეპარტამენტის და ნავთობის გადამუშავების ინდუსტრიის და ალტერნატიული საწვავის დირექტორის თანამდებობას იკავებდა.

სასამართლოს მიერ იგორ კ.-ის მიმართ 3 თვის ვადით საექსტრადიციო პატიმრობის გამოყენებას საფუძვლად დაედო მიმალვის საფრთხე, რომელიც სასამართლომ საკმაოდ მაღალი რისკის შემცველად მიიჩნია. კერძოდ, სასამართლომ გაითვალისწინა იგორ კ.-ს კავშირები საზღვარგარეთ, მისი ფინანსური რესურსები, ასევე ის, რომ მას დაკავების ქვეყანასთან არ აქვს მჭიდრო კავშირები და რაც მთავარია, ის ფაქტი, რომ იგორ კ.-მ წარსულში უკვე სცადა მიმალვა, რითაც თავი აარიდა უკრაინის სამართალდამცავ ორგანოებში და სასამართლოში გამოცხადებას.

სასამართლო განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში, მისი გადაცემიდან 7 (შვიდი) დღის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს მეშვეობით, – ნათქვამია თბილისის საქალაქო სასამართლოს განცხადებაში.

საქართველოში ვიქტორ იანუკოვიჩის დროინდელი მაღალჩინოსნის, უკრაინის ენერგეტიკის მინისტრის ყოფილი მოადგილის იგორ კირიუშინის დაკავების შესახებ ინფორმაცია უკრაინის გენერალურმა პროკურორმა იური ლუცენკომაც გაავრცელა. როგორც ლუცენკო „ფეისბუქის" პირად გვერდზე წერს, კირიუშინი 90 დღითაა დაკავებული, რათა მისი უკრაინაში ექსტრადირების საკითხი გადაწყდეს.

**ინტერპრესნიუსი**

## დეკანოზ გიორგი მამალაძის ადვოკატები სასამართლოს გადაწყვეტილებას გაასაჩივრებენ

დეკანოზ გიორგი მამალაძის ადვოკატები სასამართლოს მიერ 28 მარტს მიღებულ გადაწყვეტილებას გაასაჩივრებენ.

ამის შესახებ ბრალდებულის ადვოკატმა მიხეილ რამიშვილმა პროცესის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა.



როგორც რამიშვილმა აღნიშნა, დღეს საქართველოში მართლმსაჯულება არ არსებობს და არსებობს მხოლოდ ყველანაირი სამართლებრივი ჩარჩოდან გასული შერჩევითი სამართალი. მისი თქმით, მოსამართლის გადაწყვეტილება, დეკანოზის პატიმრობაში დატოვებასთან დაკავშირებით, აბსურდული იყო, ისევე, როგორც განმარტება, თუ რატომ მიიღო აღნიშნული გადაწყვეტილება.

– ჩვენთვის თავიდანვე ცნობილი იყო, რომ მოსამართლეს წინასწარ ჰქონდა გადაწყვეტილება მიღებული, ვინაიდან სათათბიროდ სულ რამდენიმე წუთით იყო გასული. მოსამართლემ ე.წ. დასაბუთება გააკეთა, რომ თურმე მამა გიორგის მხრიდან მოწმეებზე ზეწოლის საშიშროება არსებობს, მათ შორის მთავარ მოწმეზე, რომელიც დაცვასთან ერთად დადის.

ძალიან აბსურდული საკითხი წამოწია მოსამართლემ და მიიღო გადაწყვეტილება. შემიძლია სრული პასუხისმგებლობით ვთქვა, რომ საქართველოში მართლმსაჯულება არ არსებობს. საქართველოში არის ყველანაირი სამართლებრივი ჩარჩოდან გასული შერჩევითი სამართალი, – განაცხადა მიხეილ რამიშვილმა.

კითხვაზე, ვისი ინტერესი არსებობს დეკანოზის პატიმრობაში ყოფნასთან დაკავშირებით, ადვოკატმა განმარტა, რომ ამით დაინტერესებულია ძალიან ბევრი ადამიანი. „აქ ვგულისხმობ ყველანაირ წრეს როგორც საეროს, ასევე სასულიეროს", – განაცხადა მიხეილ რამიშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

## მაია რჩეულიშვილისა და რუსუდან კერვალიშვილის მიმართ სასამართლო განაჩენს 31 მარტს გამოაცხადებს



„ცენტრ პოინტის" საქმეზე, სააკაძის მოედანზე მდებარე ობიექტის ეპიზოდზე სასამართლო განხილვები დასრულდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე გიორგი ებანოიძე განაჩენის გამოსატანად სათათბიროდდაა გასული. როგორც „ინტერპრესნიუსს" „ცენტრ პოინტის" დამფუძნებლისა და ხელმძღვანელის მაია რჩეულიშვილს ადვოკატმა განუცხადა, მოსამართლე განაჩენს 31 მარტს გამოაცხადებს.

საქმეზე, სააკაძის მოედანზე მდებარე ობიექტის ეპიზოდზე, „ცენტრ პოინტის" დამფუძნებლებს მაია რჩეულიშვილსა და რუსუდან კერვალიშვილს, ასევე კომპანია „დექსუსის" დამფუძნებელს ივანე ცაგურიას ბრალი თაღლითობისა და თანხების მითვისების მუხლით აქვთ წარდგენილი. გამოძიება მაია რჩეულიშვილსა და რუსუდან კერვალიშვილს „ამხანაგობა თაბუკაშვილი 88"-ის კუთვნილი 11 მილიონზე მეტი ლარის მითვისებას ედავება.

სამივე ბრალდებულს თავდაპირველად აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა ჰქონდა შეფარდებული, თუმცა მოგვიანებით ბრალდებულებს, მაია რჩეულიშვილსა და რუსუდან კერვალიშვილს თავდებში რამდენიმე პარლამენტის წევრი ჩაუდგა, რის შემდეგაც საქმეზე ბრალდებულებისთვის შეფარდებული პატიმრობა გირაოთი შეიცვალა.

მაია რჩეულიშვილისა და რუსუდან კერვალიშვილისთვის შეფარდებული 150-150 ათას ლარიანი გირაო უძრავი ქონებით იყო უზრუნველყოფილი, რომელიც სახელმწიფო ბრალდების შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლომ „ცენტრ პოინტის" დამფუძნებელსა და ხელმძღვანელს, გირაოს პირობების დარღვევის გამო ჩამოართვა და სახელმწიფო ბიუჯეტში მიმართა.

**ინტერპრესნიუსი**

## დაპირისპირება მოქალაქესა და პატრულს შორის ჯარიმის გამო – რა მოხდა ახალქალაქში



სამცხე-ჯავახეთში, ახალქალაქში პატრულის ეკიპაჟსა და მანქანის მძღოლს შორის დაპირისპირება მოხდა. ინფორმაციას ამის შესახებ გამოცემა „ჯემნიუსი" ავრცელებს. გამოცემის ინფორმაციით, სამართალდამცავმა მძღოლს ჯარიმა გამოუწერა, რადგან მას ღვედი არ ეკეთა. თუმცა საპირისპიროს ამტკიცებდა მსუბუქი ავტომობილის მძღოლი. შელაპარაკების დროს ქუჩაზე ხალხმა დაიწყო შეკრება, რამაც ავტომობილების მოძრაობა შეაფერხა. დაჯარიმებული მოქალაქე საპატრულო მანქანის ვიდეოთვალის ჩანაწერის ნახვას ითხოვს. მისი თქმით, თუ აღმოჩნდება, რომ მძღოლს ღვედი ეკეთა, პატრული ბოდიშს მოიხდის, სხვა შემთხვევაში მოქალაქე თანახმაა გადაიხადოს ჯარიმა. შეგახსენებთ, რომ პატრულის თანამშრომლებსა და მოქალაქეს შორის ჯარიმის გამო დაწყებული დაპირისპირება ბათუმში არეულობაში გადაიზარდა.

**ნიუპოსტი**

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლის პროცედურა ამოქმედდა



ევროკავშირში დიდი ბრიტანეთის ელჩმა ტიმ ბაროუმ ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტს დონალდ ტუსკს ტერეზა მეის წერილი გადასცა, რითაც დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლის პროცედურა ამოქმედდა.

ევროკავშირის შეტყობინება ლისაბონის ხელშეკრულების 50-ე მუხლის თანახმად მოხდა. აღნიშნული ნიშნავს ორწლიანი მოლაპარაკებების პროცესის დაწყებას, რომლის ფარგლებში დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლის პირობები იქნება შეთანხმებული.

ევროკავშირის შესახებ ლისაბონის ხელშეკრულების 50-ე მუხლი პირველად ამოქმედდა ევროკავშირის ისტორიაში.

მოლაპარაკებები დიდ ბრიტანეთსა და ევროკავშირს შორის სავარაუდოდ მაისში დაიწყება.

როგორც ადრე დონალდ ტუსკმა განაცხადა, ევროკავშირის სამიტი, რომელზეც ევროკავშირიდან დიდი ბრიტანეთის გასვლის დირექტივები დამტკიცდება, 29 აპრილს გაიმართება.

— იმის გათვალისწინებით თუ რა განაცხადა ლონდონმა, მინდა გითხრათ, რომ ევროკავშირის საბჭოს სხდომას 29 აპრილს გავმართავთ, სადაც დამტკიცდება დირექტივები დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლის პროცედურებთან დაკავშირებით, — აღნიშნა დონალდ ტუსკმა.

# თურქეთში ისლამური სახელმწიფოს ერთ-ერთი მეთაური დააკავეს




თურქეთის უსაფრთხოების სამსახურმა ტერორისტული ორგანიზაციის ისლამური სახელმწიფოს ერთ-ერთი ლიდერი საფვან გახვატი დააკავა.

გახვატი სირიელია და ის ევროპიდან ბოევიკების რეკრუტირებით იყო დაკავებული. ის თურქეთის სამხრეთით, პროვინცია ადანში დააკავეს მის მეუღლესთან ერთად, როდესაც ის ავტობუსით ცდილობდა სტამბოლში ჩასვლას.

პოლიციამ გახვატი გაჩხრიკა, რის შემდეგაც მოხდა მისი დაკავება.

დაკავებულს თან აღმოაჩნდა სურათებიც, სადაც ის დანით ხელში, სავარაუდოდ, ერთ-ერთ ტყვეს სიკვდილით ემუქრება.

დაიკითხა გახვატის ცოლიც, რომელიც დეპორტირებულია თურქეთიდან და ამჟამად მისი ადგილსამყოფელი უცნობია.

შეგახსენებთ, რომ 31 დეკემბერს, სტამბოლის ერთ-ერთ ღამის კლუბში ტერაქტის შედეგად 39 ადამიანი დაიღუპა. ამ ტერაქტის შემდეგ თურქეთი განსაკუთრებით აქტიურად ებრძვის ტერორიზმს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

# აშშ-ის სენატი მონტენეგროს ნატოში მიღებას მხარს უჭერს



აშშ-ის სენატი მონტენეგროს ნატოში მიღებას მხარს უჭერს.

სენატის ბევრი წევრი მონტენეგროელთა ნაბიჯს რუსეთისადმი გამოწვევად აღიქვამს.

— მონტენეგროს სურს გახდეს ნატოს წევრი, ანუ გააკეთოს ის, რაც ასე არ სურს პუტინს. ამიტომაც მონტენეგროელებს მხარი უნდა დავუჭიროთ, — აცხადებს ჯონ მაკეინი.

# მანუელ ვალსი საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნებზე ემანუელ მაკრონს დაუჭერს მხარს




საფრანგეთის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა მანუელ ვალსმა განაცხადა, რომ საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნებზე მხარს დაუჭერს პოლიტიკური მოძრაობა „წინ“-ის ლიდერ ემანუელ მაკრონს.

— დიახ, მე ხმას ემანუელ მაკრონს მივცემ, საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში. მე ვთვლი, რომ რისკის ქვეშ არ უნდა დავაყენოთ რესპუბლიკა. ამიტომაც მხარს ემანუელ მაკრონს ვუჭერ, — განაცხადა მანუელ ვალსმა.

საფრანგეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი მანუელ ვალსი მმართველი სოციალისტური პარტიის პრაიმერისის მეორე ტურში ბენუა ამონთან დაპირისპირებაში დამარცხდა.

აღსანიშნავია, რომ მანუელ ვალსის მთავრობაში ემანუელ მაკრონი ეკონომიკის მინისტრის ფუნქციებს ასრულებდა.

საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტური 23 აპრილს, ხოლო მეორე ტური 7 მაისს გაიმართება.

# ქალმა ავარიაში ბრალი თოვლის კაცს დასდო



ამერიკის აიდაჰოს შტატის მცხოვრებმა ქალმა პოლიციას აცნობა, რომ ავარიაში თოვლის კაცის გამო მოყვა.

50 წლის ქალი ამტკიცებს, რომ შენიშნა უჩვეულო ადამიანის მსგავსი არსება, როდესაც მანქანით ტყეში გამავალ გზაზე მოძრაობდა. მისი თქმით, ის გზის პირზე ირემს მისდევდა. იმისთვის, რომ თოვლის კაცი უკეთ შეეთვალიერებინა, უკანა ხედვის სარკეში ჩაიხედა და ვერ შენიშნა გზაზე გადმომხტარი ირემი.

ოფიციალურ საბუთებში საგზაო შემთხვევა დასახელებულია, როგორც სატრანსპორტო საშუალების ირემთან შეჯახება. ადგილობრივი შერიფის თანაშემწემ ვერ მიაგნო იმის დამადასტურებელ მტკიცებულებებს, რომ ინციდენტში თოვლის კაცი მონაწილეობდა.

აღსანიშნავია, რომ თოვლის კაცის არსებობა ოფიციალურად დადასტურებული არ არის. თვითმხილველთა მტკიცებით, ადამიანის მსგავსი არსება თითქოსდა აშშ-ის მთაგორიან რაიონებსა და ტყეებში ბინადრობს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ლუცკში პოლონეთის საკონსულოს ესროლეს



უკრაინის ქალაქ ლუცკში (დასავლეთ უკრაინა) უცნობმა პირებმა პოლონეთის საკონსულოს ცეცხლი გაუხსნეს. დაზიანებულია სახურავი, ჩაიმსხვრა მინები.

პოლონეთის კონსულმა უკრაინაში სავიცკიმ განაცხადა, რომ ეს არის პროვოკაცია, მიმართული პოლონეთ-უკრაინის დაახლოების წინააღმდეგ.

— არ ვიცი, კონკრეტულად ვინ განახორციელა ეს ტერაქტი, ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ეს იმ ძალების ნახელავია, რომლებიც როგორც უკრაინის, ასევე პოლონეთის წინააღმდეგ მუშაობენ! — თვლის კონსული.

# ერდოღანი: „ჩვენ სირიიდან არ წავალთ!“



თურქეთის პრეზიდენტმა რეჯებ ერდოღანმა განაცხადა, რომ სირიაში მყოფი ისლამისტი ტერორისტები თურქეთს საფრთხეს უქმნიან. გამომდინარე აქედან, ამ ქვეყანაში თურქეთის არმიის შეყვანა სწორი იყო:

— ჩვენ სირიიდან არ წავალთ! ეს მანამ გაგრძელდება, სანამ ჩვენი ქვეყნის მიმართ საფრთხე შენარჩუნდება, — აცხადებს ერდოღანი.

ამავე დროს, თურქეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ შესაძლოა მალე თურქეთში კიდევ ერთი რეფერენდუმი ჩაატაროს, რომელიც თურქეთის ევროკავშირში შესვლის მიზანშეწონილობას შეეხება.

— ჩვენმა ხალხმა უნდა განსაზღვროს, რამდენად მიზანშეწონილად მიაჩნია ევროკავშირში შესვლა, — ამბობს ერდოღანი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

### გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

● სიახლე! სტომატოლოგიური კლინიკა გთავაზობთ მომსახურებას თქვენს ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ორი ყბის ფასი 280 ლარი. იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

### მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) — სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09, 295-40-58 ჯემალი.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა — შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით — იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) — მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან — შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# ჯიმი ტაბიძე: „ნაკრებში გატარებული თითოეული წუთით ბედნიერი ვარ“

საქართველოსა და სერბეთის ნაკრებების მატჩის 18-კაციან განაცხადში რუსული ურალის წევრი ჯიმი ტაბიძე იყო, რომელსაც ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვლადიმირ ვაისი ბოლო დროს სისტემატურად აქებს.

სერბეთის შემდეგ ჯვაროსნებმა ამხანაგური შეხვედრა ლატვიელებთან გამართეს და ტაბიძე მინდორზე 78-ე წუთზე შევიდა.

**ჯიმი ტაბიძე:**

– სამწუხაროა, რომ სერბეთთან პირველ ტაიმში კარგი თამაშის მიუხედავად, დავმარცხდით. არადა, ჩვენი ნაკრები ამას არ იმსახურებდა. მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი შეხვედრა იყო, წარმატების შემთხვევაში ვაგრძელებდით ბრძოლას ჯგუფიდან გასასვლელად, მაგრამ... ფეხბურთელებმა ყველაფერი გააკეთეს 3 ქულის მოსაპოვებლად, თუმცა ელემენტარული შეცდომების გამო დავთმეთ მატჩი.



***– პირველად მოხვდით ეროვნული ნაკრების ოფიციალური მატჩის განაცხადში. ელოდით მოვლენების მსგავს განვითარებას?***

– ძალიან მიხარია და მაიმედებს ის ფაქტი, რომ ვლადიმერ ვაისი ბოლო მატჩებში სისტემატურად მიძახებს. ეროვნულ ნაკრებში მოხვედრას ყველა ოცნებობს, ამის მერე უკვე გუნდში ადგილის დამკვიდრებაზე ფიქრობ. ვეცდები, მწვრთნელის იმედები გავამართლო, თუ ოპტიმალურ სპორტულ ფორმაში ვიქნები, ალბათ მომავალშიც გამომიძახებს სლოვაკი სპეციალისტი. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ კლუბში სათამაშო პრაქტიკა მქონდეს, ამისთვის დიდი შრომა და ბრძოლა მომიწევს, თუმცა ამ ყველაფრისთვის მზად ვარ.

***– 18-კაციან განაცხადში მოხვედრის შემდეგ, სერბეთის წინააღმდეგ თამაშის სურვილიც გექნებოდათ...***

– ძალიან მინდოდა თამაში, მაგრამ ასე უცბად ყველაფერი არ ხდება. მწვრთნელის გადაწყვეტილებას პატივს ვცემ – ვლადიმირ ვაისმა ასე ჩათვალა საჭიროდ.

***– რა ხდებოდა გასახდელში სერბეთთან მატჩის შემდეგ?***

– ყველა დამწუხრებული იყო. არის თამაშები, როდესაც უშანსოდ მარცხდები, მაგრამ როდესაც ასეთი მატჩის შემდეგ წაგებული ტოვებ მინდორს, ძალიან ძნელია.

***– ლატვიელების წინააღმდეგ 15 წუთი მაინც ითამაშეთ. ამ შემთხვევაში ელოდით თამაშს?***

– ამხანაგური მატჩიდან გამომდინარე, დიდი იყო ალბათობა იმისა, რომ ფეხბურთელების უმეტესობას ეთამაშა. სხვებთან ერთად მეც მომეცა გარკვეული დროით მინდორზე გასვლის შესაძლებლობა. ნაკრებში თითოეული გატარებული წუთით ბედნიერი ვარ. სასიხარულოა, რომ გარკვეული პაუზის შემდეგ გავიმარჯვეთ და თანაც დიდი ანგარიშით. ფსიქოლოგიურად ეს წარმატება ძალიან წაგვადგება.

***– ვლადიმირ ვაისმა წინა მატჩებშიც გამოგიძახათ, როდესაც ნაკრები უზბეკეთისა და იორდანიის ეროვნულ ნაკრებებს დაუპირისპირდა. უშუალოდ, მასთან ხომ არ გისაუბრიათ?***

– არა, მსგავსი საუბარი ჩვენ შორის ჯერჯერობით არ შემდგარა.

***– დაახლოებით თვენახევრის წინ, ბელგიიდან რუსეთის პრემიერ ლიგაში გადაბარგდით. როგორ დაგხვდნენ ურალში?***

– კლუბში თბილად მიმიღეს, ურალში ჯერ კიდევ ადაპტაციის პერიოდი მაქვს. ნელ-ნელა ვეცნობი კლუბსა და მათ სტილს. რუბინის, არსენალისა (ტულის) და ამკარის წინააღმდეგ კლუბის განაცხადში ვიყავი. ოფიციალურ მატჩებში თამაშის შესაძლებლობა ჯერჯერობით არ მომცემია, ველოდები ჩემს შანსს, რომელიც აუცილებლად უნდა გამოვიყენო. მჯერა, ეს შესაძლებლობაც მალე მოვა. ჩემი კონკურენტები საკმაოდ დამაჯერებლად გამოიყურებიან. გუნდმაც ჩატარებული ბოლო 3 მატჩიდან ორ შემთხვევაში წარმატებას მიაღწია. ამ დროისთვის მე-12 ადგილზე ვიმყოფებით და გასავარდ ზონაში მყოფ კლუბს 4 ქულით ვუსწრებთ.

# მოგება, რომელიც არაფერს ცვლის



__საქართველო – ლატვია 5:0__

**თბილისი.** დინამო არენა

1:0 ანანიძე (18პ), 2:0, 3:0 ქვილითაია (33, 66), 4:0 ანანიძე (76), 5:0 არაბიძე (89)

**საქართველო:** მაკარიძე, ლობჟანიძე, კაშია, ხოჭოლავა, ნავალოვსკი (ტაბიძე 77), ჯიღაური (არაბიძე 62), ანანიძე (ყაზაიშვილი 83), კვეკვესკირი, გვილია (კიტეიშვილი 36), ქვილითაია (კაჭარავა 77), დვალიშვილი (კობახიძე 62)

**ლატვია:** ვანინსი (სტეინბორსი 46), დ.იკაუნიეკსი, მაქსიმენკო, ლაიზანსი (ლაზინსი 80), ვისნაკოვსი (რაკელსი 46), სოლოვიოვსი, გორკსი, ჟ.იკაუნიეკსი, იაგოდინსკისი (ოსი 46), კარლსონსი (შაბალა 46), კლუსკინსი (ლუკიანოვსი 65)

დავიწყოთ ლატვიელთა მწვრთნელის, მარიან პახარსის მატჩის შემდგომი კომენტარით, სადაც ბალტიისპირელთა თავკაცმა განაცხადა, რომ ასეთი ჩაგდებული მატჩის შემდეგ უფლება არ აქვს გაჩერდეს მთავარი მწვრთნელის პოსტზე და ლატვიის ფედერაციამ ახალი დამრიგებელი უნდა ეძებოს.

ამით არავის მიმართ არანაირ მინიშნებას არ ვაკეთებთ, უბრალოდ, ხშირად ყოფილა შემთხვევები, როდესაც საქართველოს ნაკრებს უფრო ჩაუგდია მატჩები, მწვრთნელები ასეთ ნაბიჯზე არ წასულან.

რაც შეეხება ჩვენს თამაშს: მოვიგეთ, მაგრამ არაფრისმომცემ მატჩში. სადაც საჭიროა, იქ ქულებს უაზროდ ვანიავებთ და ლატვიელებთან გამარჯვება იმ ტკივილს ვერ გვავიწყებს. ცხადია, გამარჯვება სასიხარულოა, ამასთან ასეთი ანგარიშით და ასეთი ხარისხით, მაგრამ...

ლატვიის ნაკრები ჩვენ წინააღმდეგ ბევრჯერ გვინახავს, ბოლოს მათი თამაშის ფრაგმენტები 25 მარტს შვეიცარიასთან შეხვედრისას ვნახეთ და უნდა ვთქვათ, რომ ასეთი სუსტი და უილაჯო არასდროს ყოფილა.

ეს არ აკნინებს ჩვენების გამარჯვებას – ლატვიელთა კართან ბევრი მომენტი შევქმენით და მხოლოდ 5 გამოვიყენეთ. მნიშვნელოვანი ფაქტორია სტანდარტული მდგომარეობების რეალიზება – 2 გოლი კუთხურიდან გავიდა, ერთიც საჯარიმო დარტყმით. ყურადღება იმაზეც უნდა გავამახვილოთ, რომ კომბინაციურად არც ერთი გოლი არ გაგვიტანია.

საქართველო არ იყო ოპტიმალური შემადგენლობით: კანკავა, კვერკველია, ლორია, ოქრიაშვილი, მჭედლიძე – 5 წამყვანი ფეხბურთელი ყველა რგოლში გვაკლდა. პლუს, მალევე მიიღო ტრავმა გვილიამაც, რომელიც შესაცვლელი შეიქნა. თუმცა, გამოჩნდნენ ფეხბურთელები, რომლებმაც თავი კარგად დაგვამახსოვრეს: გიორგი ქვილითაია – დუბლი, გამომუშავებული პენალტი და ბრძოლა მოედნის ნებისმიერ წერტილში... ნაკრებში მობრუნებული გიორგი მაკარიძე – მართალია, ბევრი საქმე არ ჰქონია, განსაკუთრებით ხაზზე, მაგრამ გამოსვლებზე კარგად იმუშავა. გიორგი არაბიძე – სერბეთთან შებოჭილი იყო, მოედანზე ადგილს ვერ პოულობდა, დაბნეული ჩანდა, ლატვიასთან უფრო თამამი იყო, შეცდომებიც ჰქონდა, მაგრამ არ ერიდებოდა თამაშის გამწვავებას და თავის თავზე აღებას. ჯარიმაც დამსახურებულად გაიტანა. და გიორგი ხოჭოლავა – დაცვის ცენტრში ჩინებულად ირჯებოდა, მოიგო თითქმის ყველა ორთაბრძოლა, თუმცა ძალიან დატვირთულიც არ ყოფილა.

**ვლადიმირ ვაისი:**

– ლატვიასთან უფრო მაღალი ხარისხის შეხვედრა ჩავატარეთ. სხვადასხვა დანიშნულება აქვს ოფიციალურ და ამხანაგურ მატჩებს. ამ თამაშის მოგება აუცილებელი იყო. ფეხბურთელებმა კონცენტრაცია ბოლომდე შეინარჩუნეს. აღსანიშნავია, ანანიძის, ქვილითაიას და არაბიძის კარგი თამაში. არაბიძემ თავი კარგად წარმოაჩინა და მიხარია, რომ 5:0 მოვიგეთ..

# ფაჩულიამ და გოლდენ სტეიტმა კონკურენტი დაამარცხეს



გოლდენ სტეიტ უორიორსმა ჰიუსტონში როკეტსი დაამარცხა, რითაც რეგულარული ჩემპიონატის მოგების გზაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა.

ჰიუსტონი მძლავრი გუნდია და დასავლეთ კონფერენციაში მე-3 ადგილზეა. რაკეტების ლიდერს ოკლენდელების დამარცხების სოლიდური ამბიციაც ჰქონდა, მაგრამ ზაზა ფაჩულიას გუნდმა დიდებულად ითამაშა და მასპინძელი 113:106 დაამარცხა. ოკლენდურმა გუნდმა პირველი პერიოდი 37:20 მოიგო, რის შემდეგაც ლიდერობა აღარ დაუთმია და გამარჯვებამდეც ღირსეულად მივიდა. ჰიუსტონელებმა რამდენჯერმე 2 ქულამდე შეამცირეს ჩამორჩენა, მაგრამ სტუმრებმა მეტის საშუალება აღარ მისცეს.

როგორც ყოველთვის, ქართველმა ცენტრმა თამაში სასტარტო ხუთეულში დაიწყო და მოედანზე ბოლო ხანებში სტანდარტულად ქცეული 14 წუთი გაატარა. ფაჩულიამ ერთადერთი ორქულიანი ჩააგდო და შეხვედრა 2 ქულით, 3 მოხსნით და 2 პასით დაასრულა.

ეს გახლდათ გოლდენ სტეიტის მთავარი მწვრთნელის, სტივ კერის მე-200 კარიერული გამარჯვება, რომელსაც მან 238-ე მატჩში მიაღწია. ასე მცირე მატჩებში ამდენი მოგებაც ვერავის მოუხერხებია. მაგალითად, ლეგენდარულმა ფილ ჯექსონმა პირადი მე-200 გამარჯვება 270-ე მატჩში იზეიმა.

გოლდენ სტეიტმა კიდევ ერთი რეკორდი მიითვალა: ზედიზედ 3 სეზონში მინიმუმ 60 გამარჯვება არავის მოუპოვებია. ოკლენდელებს რეგულარულ ჩემპიონატში დარჩენილი 8 მატჩიდან 6 მოგება ჰყოფნით, პირველობა რომ მოიპოვონ.

მორიგ მატჩში გოლდენ სტეიტი უშუალო კონკურენტსა და მდევარ სან ანტონიოს შინაურ არენაზე ხვდება.

## შედეგები

**28 მარტი**

__ფეხბურთი__

**მჩ-2018 შესარჩევი ეტაპი**

**კონკაკაფი**

| | |
|---|---|
| ჰონდურასი-კოსტა რიკა | 1:1 |
| ტრინიდადი-მექსიკა | 0:1 |
| პანამა-აშშ | 1:1 |

**სამხრეთ ამერიკა**

| | |
|---|---|
| ბოლივია-არგენტინა | 2:0 |
| ეკვადორი-კოლუმბია | 0:2 |
| ჩილე-ვენესუელა | 3:1 |
| ბრაზილია-პარაგვაი | 3:0 |
| პერუ-ურუგვაი | 2:1 |

**ოკეანეთი**

| | |
|---|---|
| ახალი ზელანდია-ფიჯი | 2:0 |
| ამხანაგური | მატჩები |
| ალბანეთი-ბოსნია | 1:2 |
| ესტონეთი-ხორვატია | 3:0 |
| მაკედონია-ბელარუსი | 3:0 |
| რუსეთი-ბელგია | 3:3 |
| ავსტრია-ფინეთი | 1:1 |
| ირლანდია-ისლანდია | 0:1 |
| ჰოლანდია-იტალია | 1:2 |
| პორტუგალია-შვედეთი | 2:3 |
| საფრანგეთი-ესპანეთი | 0:2 |

**აზიის თასი**

| | |
|---|---|
| მიანმა-ინდოეთი | 0:1 |
| ფილიპინები-ნეპალი | 4:1 |
| ყირგიზეთი-მაკაო | 1:0 |
| ავღანეთი-ვიეტნამი | 1:1 |
| ლიბანი-ჰონკონგი | 2:0 |
| ომანი-ბუტანი | 14:0 |
| ბახრეინი-სინგაპური | 0:0 |
| იორდანია-კამბოჯა | 7:0 |
| იემენი-ტაჯიკეთი | 2:1 |
| მალდივი-პალესტინა | 0:3 |
| ეჩ-2019. შესარჩევი ეტაპი | (21) |
| ბოსნია-ლიხტენშტეინი | 6:0 |
| ლუქსემბურგი-ყაზახეთი | 1:2 |

მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა



# ქართველი კალათბურთელის აღიარება ესპანეთში – შერმადინი საუკეთესოა

გიორგი შერმადინის ბოლოდროინდელი წარმატებული თამაშები იმის საწინდარი გახდა, რომ ჩვენებური ესპანეთის ჩემპიონატის მარტი თვის საუკეთესო კალათბურთელად დაასახელეს. ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო ჩემპიონატის თვის საუკეთესოდ დასახელება ნებისმიერი კალათბურთელისთვის დიდი მიღწევაა და ეს მორაბანკ ანდორრას ქართველმა ცენტრმა მიმდინარე სეზონში მეორედ მოახერხა!

შერმადინი ესპანეთის ლიგის იანვრის თვის საუკეთესო კალათბურთელადაც დასახელდა. ქართველი ცენტრი ყოველ მატჩში გამორჩეულ შედეგს აჩვენებს და იშვიათია შემთხვევა, როცა ის თავის გუნდში საუკეთესო არ არის.

თუ სრულიად ლიგას გადავხედავთ, ქართველი ცენტრი მთელს ლიგაში პირველია საშუალოდ მოხსნებში (7.58), მეორეა სარგებლიანობის კოეფიციენტით (22) და მე-3 – მექულეებში (15.5).

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, განწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის განწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# ყურადღება მიაქციეთ ხელისგულზე გაჩენილ გამკვრივებებს

ეკა ირემაშვილი

**როცა ადამიანს მტევნის თითები ბოლომდე არ ეშლება, მოხრილ მდგომარეობაში აქვს და თან ხელისგულზე გამკვრივებები არ აძლევს საშუალებას თითები გაშალოს, ეს არის კონტრაქტურა, რომელიც პირველად ექიმმა დიუპიუტრენმა აღწერა. სწორედ ამიტომ ამ დაავადებას დიუპიუტრენის კონტრაქტურას უწოდებენ.**

სამწუხაროდ, დიუპიუტრენის კონტრაქტურა საკმაოდ ხშირი დაავადებაა. ამ დროს ხელისგულის აპონევროზის ნაწიბუროვანი გადაგვარების გამო, პაციენტი ვერ ახერხებს მტევნის თითების ბოლომდე გაშლას. დაავადების ზუსტი გამომწვევი მიზეზი უცნობია. მეცნიერები განმარტავენ, რომ დიუპიუტრენის კონტრაქტურა შესაძლოა გენეტიკური იყოს და სწორედ ამიტომ რეკომენდებულია, რომ თუ მშობლებს აქვთ ანალოგიური დაავადება, ყურადღებით იყვნენ ხელისგულზე გაჩენილი გამკვრივებების მიმართ.

რა არის დიუპიუტრენის კონტრაქტურა, რა სიმპტომებით ხასიათდება და რა იწვევს მას, ამ საკითხებზე ქირურგიის ეროვნული ცენტრის სისხლძარღვთა პლასტიკური და რეკონსტრუქციული ქირურგიის დეპარტამენტის უფროსი, ირაკლი ფერაძე საუბრობს.

**ირაკლი ფერაძე:**

– ხშირად ადამიანს მტევნის თითები ბოლომდე არ ეშლება და მოხრილ მდგომარეობაში აქვს. მას ხელისგულზე არსებული გამკვრივებები არ აძლევს საშუალებას, თითები გაშალოს. ეს არის კონტრაქტურა, რომელიც პირველად აღწერილია ექიმ დიუპიუტრენის მიერ. გვხვდება ზრდასრული მოსახლეობის არანაკლებ 1,6%-ში, მოწიფულ მამაკაცთა 9,2%-ს აქვს დიუპიუტრენის კონტრაქტურა, მტევნის დაავადებების 11,8% ამ დაავადებით არის წარმოდგენილი, ამიტომ გასაგებია, რომ საკმაოდ ხშირი პათოლოგიაა და საყურადღებო თემაა თანამედროვე მედიცინაში.

***– რა სიმპტომები ახასიათებს ამ დაავადებას?***

– ამ დაავადებისთვის დამახასიათებელია თანდათანობით, წლების განმავლობაში, ხელისგულზე გამკვრივებების ზრდა, რასაც მოყვება მტევნის თითების მოხრა. დაავადების



განვითარების გარკვეულ ეტაპზე პაციენტი მტევანს პრაქტიკულად ვეღარ იყენებს. მდგომარეობას თან ერთვის ტკივილი და შეიძლება განვითარდეს მძიმე გართულებებიც.

***– რა იწვევს დიუპიუტრენის კონტრაქტურას?***

– ეს საინტერესო თემაა. ვინც დაავადება აღწერა, არსში თავად ვერ გაერკვა, ეგონა, რომ მყესების დამოკლებით იყო გამოწვეული და ვითომდა ემართებათ იმათ, ვისაც მტევნის და განსაკუთრებით, ხელისგულის მექანიკური დატვირთვები უწევთ – მედროგეები, თოხსა და ბართან მომუშავე გლეხები, ნიჩბოსნები და ა.შ. ეს აზრი დიდი ხნის განმავლობაში ითვლებოდა მართებულად, სანამ ერთგვარი სტატისტიკური მასალა არ შეგროვდა. აღმოჩნდა, რომ დიუპიუტრენის კონტრაქტურა უამრავ პაციენტს უვითარდება, მიუხედავად იმისა, რომ კალამზე და ჭიქაზე მძიმე საგანი ხელში არ სჭერიათ.

თანამედროვე მედიცინაში ცნობილია, რომ დაავადების მიზეზია ხელის გულის დამცავი აპკის გადაგვარება, დაკორძება და დამოკლება, რის გამოც მეორადად იხრება თითები. აი, თავად ეს აპკი რატომ იწყებს დაკორძებას, ამაზე საბოლოო პასუხი არ არის.

***– დაავადება გენეტიკურია?***

– დადგენილია, რომ ამ დაავადების გაჩენის ალბათობა ბევრად მაღალია იმ შემთხვევაში თუ დიუპიუტრენის კონტრაქტურა წინაპრებს ჰქონდათ, ამიტომ საუბარია მემკვიდრულ მიდრეკილებაზე. ამიტომ ამ დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მემკვიდრულ ფაქტორებს.

***– როგორია დაავადების მკურნალობის მეთოდები?***

– მიუხედავად იმისა, რომ წარმოქმნის მექანიზმები ბოლომდე გარკვეული არ არის, მკურნალობის შედეგები შთამბეჭდავია. ოპერაციის არსია ამ დაზიანებული, დაკორძებული აპკის ამოკვეთა. სანამ მეთოდები დაიხვეწებოდა, იყო გართულებების და დაავადების რეციდივის – დაბრუნების საკმაო ალბათობა. დღესდღეობით ქირურგიული მეთოდები იმდენად დაიხვეწა, რომ პრაქტიკულად აღარ აქვს ადგილი ოპერაციის შემდგომ რეციდივებს და სხვა გართულებებს. პრეციზიული ტექნიკის გამოყენებით დღეს საშუალება გვაქვს, ყველა მნიშვნელოვანი სტრუქტურა გამოვათავისუფლოთ დაზიანებების გარეშე, რაც კარგი შედეგის საწინდარია. ჩვენ ვამაყობთ, რომ ქირურგიის ეროვნულ ცენტრში ამ თემაზე ათწლეულების მანძილზე მუშაობდნენ ქირურგიის გრანდები, ხვეწდნენ მეთოდებს და დღესდღეობით საუკეთესო შედეგებით ვიკვეხნით.

***– დიუპიუტრენის კონტრაქტურის პრევენცია შესაძლებელია?***

– თუ იცით, რომ ანალოგიური დაავადება ჰქონდა თქვენს მშობლებს ან ბაბუა-ბებიას, ყურადღებით უნდა იყოთ ხელისგულზე გაჩენილი გამკვრივებების მიმართ. თუ შეამჩნიეთ, თავიდანვე ეცადეთ ჩაიტაროთ ფიზიოთერაპიის კურსები, თუმცა მასაჟებს და ძალით „გადაწევას" ნუ დაიწყებთ. დამტკიცებულია, რომ ამ დროს წარმოიქმნება დაზიანებული ქსოვილების მიკროტრავმები და დაავადება უფრო სწრაფად პროგრესირებს. თუ დეფორმაცია პროგრესირებს, ერთადერთი ქმედითი მეთოდია ქირურგიული მკურნალობა. ჩვენს კლინიკაში 3000-ზე მეტ პაციენტს აქვს ჩატარებული ეს ჩარევა. ბოლო ათწლეულში კი ტექნიკის დახვეწის წყალობით გართულებების ალბათობა პრაქტიკულად ნულზეა დაყვანილი.

*კალეიდოსკოპი*

## ზოოპარკში დამთვალიერებლებისგან შეშინებული სირაქლემა დაიღუპა



ერთი წლის ასაკის აფრიკული სირაქლემა დაიღუპა რუსეთში კალინინგრადის ზოოპარკში, რომელსაც დამთვალიერებლების შეეშინდა. ამ ინფორმაციას დაწესებულების ვებ-გვერდი ავრცელებს.

ინციდენტი კვირა დღეს მოხდა. სავარაუდოდ დამთვალიერებლებმა ახალგაზრდა სირაქლემას საკვები გადაუყარეს ვოლიერის შიგნით. ცხოველი ჯერ საკვებს მიეტანა, მაგრამ შემდეგ შეეშინდა, უკან გადახტა და თავი ხარიხას მიარტყა. ამის შედეგად სირაქლემამ, რომელიც ზოოპარკში 2016 წლის დეკემბერში ჩამოიყვანეს, თავის ქალის ფუძის მოტეხილობა მიიღო და დაიღუპა.

ფრინველის დაღუპვის ფაქტთან დაკავშირებით დაწესებულება პოლიციაში წარსადგენად განცხადებას ამზადებს და მომხდარის თვითმხილველებს თხოვნით მიმართავს, რომ ადმინისტრაციას დაუკავშირდნენ.

## ჯეიმს კუკის ჟილეტს აუქციონზე მყიდველი არ გამოუჩნდა



ბრიტანელი მოგზაურისა და მკვლევარის ჯეიმს კუკის ჟილეტს ავსტრალიის ქალაქ სიდნეიში გამართულ აუქციონზე მყიდველი არ გამოუჩნდა.

ლოტზე შემოსული განცხადებები მის გამოცხადებულ ღირებულებაზე 800 ათასიდან 1 მილიონ ავსტრალიურ დოლარამდე (610-დან 763 ათასამდე ამერიკული დოლარი), გაცილებით დაბალი აღმოჩნდა.

ყველაზე მაღალი შეთავაზება 250 წლის ჟილეტზე 575 ათასი ავსტრალიური დოლარი (დაახლოებით 438 ათასი აშშ დოლარი) აღმოჩნდა. როგორც აუქციონის სახლში განაცხადეს, ამჟამად ამ წინადადების ავტორი, ადგილობრივი მცხოვრები ლოტის მფლობელთან მოლაპარაკებებს აწარმოებს.

კუკის ოჯახი ჟილეტს დიდ ბრიტანეთში ჰავაიზე მკვლევარის 1779 წელს დაღუპვის შემდეგ ინახავდა. 1912 წელს ბრიტანელმა მეწარმემ ის დილერისგან შეიძინა და ის ცნობილ სიდნეელ პიანისტს რუბი რიჩის გადასცა, რომელმაც ჟილეტი ქალის სამოსად გადააკეთა. 1981 წელს რიჩის ოჯახისგან ის კერძო კოლექციონერმა შეიძინა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**



75-ე დაბადების დღეს ვულოცავთ

**ინგა დოლიძეს!**

საამურს გვიხდის სიცოცხლეს, დარდს არასდროს იმჩნევს. სიცოცხლეს გვიქცევს ლაღად, ყოველთვის ზრუნავს ჩვენზე და ამ ქალბატონს ჰქვია ინგა. ღონეს გვმატებს შენ გვერდით ყოფნა. ხარობდეს გული ალალი შენი. მუდამ გფარავდეს ღმერთი მაღალი და წმინდა სვეტიცხოველი.

*შენი საყვარელი დიდი ოჯახის წევრები*

## ასტროპროგნოზი

30 მარტისათვის



**ვერძი** – სასიცოცხლო პოტენციალი საკმაოდ მაღალია. თქვენს საქმეებში უცხო პირების ჩარევა რეკომენდებული არ არის. **კურო** – ცრუ ილუზიებს ნუ აჰყვებით. იფრთხილეთ, არავინ მოგატყუოთ. ემოციები აკონტროლეთ. **ტყუპები** – იზრდება სულიერი, შემოქმედებითი და სექსუალური რესურსები. დღის პირველ ნახევარში სერიოზულ პროვოკაციებს ელოდეთ. **კირჩხიბი** – მოულოდნელად ძალზე სასიამოვნო ინფორმაციას მიიღებთ. ერიდეთ კამათში ჩართვას. **ლომი** – დაიცავით ბალანსი სიძუნწესა და გულუხვობას შორის. ნებისმიერი შეხვედრა სხვა დროისათვის გადადეთ. **ქალწული** – შემოქმედებითი პერსპექტივები მზარდია. შესაძლოა, არასტანდარტულ სიტუაციაში აღმოჩნდეთ. **სასწორი** – საოჯახო საქმეების მოგვარება დაგღლით. დრო სწორად გაანაწილეთ. მხოლოდ აუცილებელი საქმე აკეთეთ. **ღრიანკალი** – შესაძლოა, ხელსაყრელი შემოთავაზება მიიღოთ. დათანხმდით დაუფიქრებლად. **მშვილდოსანი** – სასიცოცხლო პოტენციალი მაღალია. დაისვენეთ, ივარჯიშეთ, ისეირნეთ სუფთა ჰაერზე. **თხის რქა** – დღის პირველი ნახევარი დაძაბულია. ახალი ინფორმაცია აგაფორიაქებთ. ოჯახის წევრებს უყურადღებოდ ნუ დატოვებთ. **მერწყული** – ფინანსური ოპერაციების დროს იფრთხილეთ. ფასეულობების გადაფასების დროა. **თევზები** – დადებითი ტენდენციები არ დააყოვნებს. ბედი გწყალობთ. ნებისმიერი საქმე მშვენივრად გამოგივათ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი კორეული გემთმშენებელი კომპანია; 2. კანის ანთებითი დაავადება; 3. ხის ზედა განტოტვილი ნაწილი; 5. უდაბნო ჩინეთსა და მონღოლეთში; 6. ჩაის ფოთლის დამგრეხი მანქანა; 8. ბოშათა წინამძღოლი; 11. სასტუმრო „თბილისი-მერიოტის" ძველი სახელწოდება; 13. ყურძნის შაქარი; 14. ქართველი მევიოლინე ქალი; 15. ფრანგული კომედიური თეატრის ერთ-ერთი პერსონაჟი; 19. ვენეციის და გენუის რესპუბლიკების მმართველთა ტიტული.

**თარაზულად:** 1. აზერბაიჯანული ოპერის ფუძემდებელი კომპოზიტორი; 4. საკერავი მანქანების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 7. მუსლიმთა რელიგიური დღესასწაული; 9. სახელგანთქმული ექიმის ძველებური სახელწოდება; 10. მუსლიმთა სულიერი წინამძღოლი, მოძღვარი; 12. ჯეიმს ბონდის როლის შემსრულებელი ბრიტანელი მსახიობი მამაკაცი; 16. სამთო საქმეში გამოყენებული ფეთქებადი ნაერთი; 17. მარმარილოს საბადო ტყიბულის რაიონში; 18. ჰიუგოს „პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის" პერსონაჟი; 20. დაჩეჩილი მატყლი წმინდა შალის ქსოვილის დასამზადებლად; 21. აბრეშუმის ჭია; 22. კომედიური ჟანრის მუსიკალურ-სცენური ნაწარმოები.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. შაჰი; 2. ისე; 3. ტრაქტატი; 4. პა; 5. მორიკონე; 6. ზარა; 7. ჭინჭარი; 10. კოლო; 11. ფიუმიჩინო; 12. ტარტიუფი; 13. აუდი; 16. ელეგია; 18. მიტარბი; 19. ტრიუკი; 21. სანტე; 24. სესხი.

**თარაზულად**: 1. შეიკერი; 3. ტრამპი; 8. ბორანი; 9. ჰუკი; 14. ელესა; 15. ტუნიკა; 17. რადა; 20. ტაიმსი; 22. ნაიკი; 23. რეიმსი; 25. მზე; 26. გორი; 27. ბარი; 28. სიგნატურა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. პედელი; 2. ოპტიკა; 3. კუსტო; 5. დოლი; 6. კაზუსი; 8. ოპიუმი; 11. ანჩისხატი; 13. კნესეტი; 14. იოკასტე; 15. ფანდური; 19. თუნი.

**თარაზულად**: 1. პინაკოთეკა; 4. ბოტდეკი; 7. დეკრეტი; 9. ტროპარი; 10. პასკა; 12. გრუნდიგი; 16. ბიჭვინთა; 17. ვერსალი; 18. პალეოლითი; 20. ტალანტი; 21. რიფი; 22. დანსინგი.

# „საქართველოს ფანოლი 2017“ იწყება



კომედი არხზე „საქართველოს ფანოლი 2017“ იწყება. მუსიკალურ პროექტში მონაწილეობის მსურველთა რეგისტრაცია 31 მარტს დასრულდება და მათ საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენა ჟიურის წინაშე მოუწევთ.

ტრადიციულად ჟიურიში ნინო ჩხეიძე, ვახო ბიჭიკაშვილი და ნიკა არაბიძე იქნებიან.

საქართველოს ფანოლში მონაწილეობა ნებისმიერ მსურველს შეუძლია, ვისაც უყვარს საქეიფო სიმღერების მოსმენა და მათი შესრულება. კონკურსანტთაგან საუკეთესოს კი შოუს ჟიურის წევრები გამოავლენენ.

# „სხვისი სახლი“ რუსეთშიც დააჯილდოვეს



რუსუდან გლურჯიძის ფილმი „სხვისი სახლი“ რუსეთში გამართულ საერთაშორისო კინოფესტივალ „ნიკაზე“ დააჯილდოვეს.

ფილმმა რუსეთის ყველაზე პრესტიჟული კინოპრემია „ნიკა“ მოიპოვა. მოსკოვში გამართულ დაჯილდოების ცერემონიალზე ცნობილი გახდა, რომ გამარჯვებული ნომინაციაში „დსთ-ის და ბალტიისპირეთის ქვეყნების საუკეთესო ფილმი“ რუსუდან გლურჯიძის „სხვისი სახლი“ გახდა.

რუსუდან გლურჯიძის ფილმი დრამაა და საქართველოს, რუსეთის, ხორვატიისა და ესპანეთის ერთობლივი ნაწარმოებია. იგი ხანმოკლე, მაგრამ გამანადგურებელ ომში ფიზიკურად გადარჩენილი ორი ოჯახის შესახებ მოგვითხრობს. ისინი იკავებენ ნაჩქარევად გამოთავისუფლებულ სახლებს, მაგრამ მშვიდობიან გარემოში ახალი ცხოვრების დაწყება არ შეუძლიათ. ომი ყოველდღიურ ცხოვრებაშიც გრძელდება.

ფილმი რუსუდან გლურჯიძის სადებიუტო ნამუშევარია. მისი პრემიერა გასულ წელს კარლოვი-ვარის საერთაშორისო კინოფესტივალზე გაიმართა, სადაც ის გამარჯვებული გახდა.

კარლოვი ვარის კინოფესტივალს მსოფლიოს სხვადასხვა საერთაშორისო კინოფესტივალები მოჰყვა, სადაც ფილმმა პრიზები მოიპოვა.

რუსუდან გლურჯიძის ნამუშევარი საქართველომ ოსკარზეც წარადგინა საუკეთესო უცხოენოვანი ფილმის კატეგორიაში, თუმცა ფილმი „ოსკარის“ მოკლე ნუსხაში ვერ მოხვდა.

# რუსთაველის საზოგადოება მწერალთა სახლში შეხვედრას გამართავს



სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოება და მისი თავმჯდომარე, პოეტი დავით შემოქმედელი 30 მარტს მწერალთა სახლში შეხვედრას გამართავს.

შეხვედრაზე მიწვეული არიან სხვადასხვა შემოქმედებითი სფეროს წარმომადგენლები და დაინტერესებული პირები.

მწერალთა სახლში რუსთაველის საზოგადოება მკითხველთან ერთად მოაწყობს დისკუსიას თემაზე „ქართული კულტურის, განათლებისა და მეცნიერების პოლიტიკა საქართველოში“.

შეკრებილი საზოგადოების წინაშე მოხსენებებით წარდგებიან რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარე დავით შემოქმედელი, ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, რუსთაველის საზოგადოების ენისა და ლიტერატურის კომიტეტის თავმჯდომარე, პროფესორი გიორგი გოგოლაშვილი, ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი ავთანდილ არაბული.

დავით შემოქმედელის ინფორმაციით, მიღებული იქნება მიმართვა ხელისუფლებისადმი.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# რეზო ამაშუკელი: „არავითარ კოლექტიურ წერილზე ხელი არ მომიწერია“



პოეტი რეზო ამაშუკელი იმ კოლექტიური წერილის თემას ეხმაურება, რომელსაც ცნობილი საზოგადო მოღვაწეები აწერენ ხელს და დიდუბის ეკლესიის ტერიტორიის პანთეონისთვის გადაცემას მოითხოვენ.

რეზო ამაშუკელი:

– მე, რეზო ამაშუკელი, კატეგორიულად ვაცხადებ, რომ დიდუბის ეკლესიის ტერიტორიის პანთეონისთვის გადაცემასთან დაკავშირებით არავითარ კოლექტიურ წერილზე ხელი არ მომიწერია.

ვიმეორებ, იმ განცხადებას რამდენიმე ისეთი ადამიანი აწერს ხელს, რომელთა გვერდითაც არათუ განცხადებას მოვაწერ ხელს, არამედ მათთან ახლოსაც არ გავივლი.

ასე რომ, კიდევ ერთხელ ვაცხადებ – ეკლესია ხელშეუხებელია და ყველამ თავის თავს მიხედოს!

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

*სპორტი*

# ადამ ლალანას შესაძლოა ერთი თვე გაუცდეს



ლივერპულის და ინგლისის ნაკრების ფეხბურთელმა ადამ ლალანამ ინგლისის ნაკრების ერთ-ერთ ვარჯიშზე ტრავმა მიიღო, რის გამოც მას შესაძლოა ერთი თვეც კი გაუცდეს. ლალანას მუხლის დაზიანება აქვს, რომელიც ძალიან სერიოზული არ არის, მაგრამ მკურნალობას საჭიროებს.

ლალანამ ინგლისის ნაკრების ორივე შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. ის ნაკრებში ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელად ითვლება. იგივე შეიძლება ითქვას ლივერპულზეც, რომლისთვისაც ლალანას არყოფნა დიდი დანაკლისი იქნება. განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ლივერპული შემდეგ შეხვედრას ევერტონის წინააღმდეგ ჩაატარებს.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

*კალეიდოსკოპი*

# ზვიგენის მყვინთავზე თავდასხმის მცდელობა ჰაერიდან გადაიღეს



ამერიკის ფლორიდას შტატის მცხოვრებმა დევიდ დიესმა კვადროკოპტერის დახმარებით ზვიგენის გოგონაზე თავდასხმის მცდელობა გადაიღო.

ინსტაგრამში გამოქვეყნებულ ვიდეოზე ჩანს, რომ მყვინთავი გოგონა ზღვაში მსუბუქი აღჭურვილობით დაცურავს. მოულოდნელად მას ზვიგენი მიუახლოვდა, თითქმის მის ფეხს შეეხო, მაგრამ ბოლო მომენტში შეტრიალდა და გაცურა. გოგონას რეაქციის მიხედვით აშკარაა, რომ მან ვერაფერი შენიშნა.

დიესის შეფასებით, ზვიგენის სიგრძე 1,2-1,5 მეტრი იქნებოდა.

– ზვიგენის ნაკბენი შესაძლოა მეტად სერიოზული გამომდგარიყო, – განაცხადა დიესმა, – მართალია არა სასიკვდილო, მაგრამ კარგი არაფერი იქნებოდა.

მისი აზრით, ზვიგენმა გოგონას ფეხებზე ჩაცმული საცურაო „ლასტები“ თევზად მიიჩნია და როდესაც თავის შეცდომას მიხვდა, მაშინვე გაეცალა იქაურობას.

– ასე ხდება ზვიგენების თავდასხმის უმეტესობა ფლორიდაში. განსაკუთრებით წელიწადის ამ დროს, როდესაც ზვიგენები სანაპიროს გასწვრივ თევზების გუნდებთან ერთად მიგრირებენ, – განმარტა ვიდეოს ავტორმა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# სამგლოვიარო განცხადებები



მამა გედევან ძნელაძე, და მარინე ძნელაძე, სიძე გიორგი ბუჯიაშვილი, დისშვილი ნინო ბუჯიაშვილი, სიძე პავლე ხარძეიშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**თეიმურაზ გედევანის ძე ძნელაძე**

**პანაშვიდი:** 30, 31 მარტს.
**დაკრძალვა:** 1 აპრილს, 14 საათზე.
**მისამართი:** ჯანსუღ კახიძის №1.

გარდაიცვალა აფხაზეთის ომში გმირულად დაღუპული ორი პატრიოტი შვილის, მერაბ და რევაზ მაჩაიძეების მამა

**ანზი მაჩაიძე**

გულრიფშის რაიონის საზოგადოება სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

მეგობრები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის მკვიდრი, გულრიფშელი, კარგი ადამიანი და ერთგული მეგობარი, მაღალი მოქალაქეობრივი პოზიციის მქონე პიროვნება

**გურამ ვლადიმერის ძე გაბუნია**

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# პროგრამა

ხუთშაბათი
30 მარტი

**07.00** დოკ/ფ "ჯეიმის ამერიკული საგზაო თავგადასავალი" **08.00** "მადაგასკარის პინგვინები" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.30** "სპორტის დაფა" **12.45** "კაცების დრო" **13.45** "ტელემანი" **14.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **15.00, 02.20** "x სტუდია" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00, 03.20** "რეალური სივრცე" **19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **21.00** ტ/სერ. "**ველვეტი**" **22.00** "ინტერვიუ სალომე ასათიანთან" **22.30** "ვექტორი" **23.00** "უცნობი მუსიკა" **00.30** მხ/ფ "**ჯო ტაინანის ცდუნება**" (მ.სტრიპი)

**08.00** დ/ფ "პოლივირილიოსიცქარის ფილოსოფოსი" **09.00** დ/ფ "ღრუბელი სამყაროს თავზე" **10.00** "გეოფაქტორი" **10.15** დ/ფ "გაზაფხული დაკვირვებების ქვეშ" **11.05** დ/ფ "კეთილი იყოს თქვენი მობრძანება სანიმუშო სოფელში" **12.00** ტ/სერ. "ევას სამი ვრდი" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.00** დ/ფ "როდესაც ჩინეთი ევროპას იპყრობს" **15.00, 18.00** "ბრიფინგის დრო" **17.00** დ/ფ "ჟოზეფ მალორ უილიამ ტერნერი" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **22.00** ტ/სერ. "**ჩიკაგოს პოლიცია**" **23.00** "მოამბე" (**3** ენაზე) **00.30** "ნამდვილი დრო" **01.00** მხ/ფ "**ომის ამბები**"

**05.50, 14.40** სერ. "**ელიფი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.50** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**პატარძალი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** დღის შოუ **17.35** სერ. "**სტამბოლის ორი სახე**" **18.40** გალფის გათამაშება **18.50, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **23.30** გრიფით საიდუმლო **00.00** მხ/ფ "**უხამსი წინადადება**" **02.05** მხ/ფ "**დაუჯერებელი სიყვარული**" **04.15** მხ/ფ "**შაბათ საღამოს ციებცხელება**"

**06.00** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **06.45, 20.10** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **15.55** სერ. "**ინდური საგა**" **19.00, 20.03** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **22.00** განსხვავებული აქცენტები **23.30** მხ/ფ

**08.00** ან/სერ. "ავატარი" **09.00, 19.00** სერ. "**დოქტორი ჰაუსი**" **11.00** სერ. "**მშობლები**" **13.00** სერ. "**სიმართლის ანატომია**" **15.00** სერ. "**სასტუმრო**" **17.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" **21.00** სერ. "**გომორა**" **22.30** მხ/ფ "**სახლი ტბის პირას**" **00.15 18+ 01.15** მხ/ფ "**სიჩქარის წყურვილი**" **03.40** მხ/ფ "**გატაცება სამოც წამში**"

**06.15** სჯანი-დედამიწის გარე ცივილიზაციები **06.40** პატერიკი-მადლიერება **06.45** დ/ფ "მეფეთ-მეფე და დედოფალთ-დედოფალი თამარი" **07.25** ქართული ალბომი **07.50** სამყაროს შექმნა **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტყველება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.40** დ/ფ **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ "**იავნანა**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.00** დეკორატიული ფლორა "აგლაუნემა კომუტატუმი" **15.05** ღვთის სახლი **15.20** ქართული ან/ფ **15.30** კონცერტი **16.45** ქრისტიანული ხელოვნება "საქართველოს სამღვდელოების საეკლესიო მუზეუმი" **17.35** ჩვენი ფონდი **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** დ/ფ "ფშავხევსურეთი" I **19.40** პორტრეტები **20.40** ძილი ნებისა "კოიოტი", "აბა დამაცადე" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.10** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.15** შარავანდედი "სანდრო ახმეტელი, გიორგი ახვლედიანი" **21.30** დიდ ხარ შენ უფალო..."ისუ ნავე იერიქონის დაპყრობა" I **22.20** ჩვენი საგანძური **22.35** ივერიის ეკლესია **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.40** ღვთის სახლი **00.30** დ/ფ "წმინდა კირილე ალექსანდრიელი" **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **7.00** "კონტაქტი" **7.30** ან/ფ "ბუშტუკები" (სურდო გახმოვანებით) **8.00, 13.30, 15.30** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **10.00** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **15.00** "კონტაქტი სამზე" **16.00, 18.50, 20.55** სერ. "**მარისა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.50** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **21.50** თოქ-შოუ "ცეცხლის ხაზი" **22.50**სერ. "**ესკობარი**" **1.00** "კონტაქტი" **1.30** სერ. "**ქალბატონი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**30 მარტისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.4432 |
| ევრო | 2.6516 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.0667 |
| 100 რუსული რუბლი | 4.2753 |

## ამინდის პროგნოზი 30 მარტისთვის





## 24 მარტიდან

ინეს ალბრეხტ ენგელი, დოქ. მანფრედ ალბრეხტი

# ორსულობა და მშობიარობა




ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი



## 29 მარტიდან




# საბავშვო ვეფხისტყაოსანი

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი



## 31 მარტიდან

# მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

მაგარი ყდა
151 გვერდი




ფასი გაზეთთან ერთად 15 ლარი


## იუმორი



ცოლი მივლინებიდან დაბრუნდა და სახლი არეულ-დარეული დახვდა, ჭურჭელი დაურეცხავი, ქმარი პირგაუპარსავი დივანზე წევს, ლუდს წრუპავს და ფეხბურთს უყურებს. ცოლი ეუბნება:

– ორი კვირა სახლში არ ვყოფილვარ, დავბრუნდი და შენ ერთი თბილი სიტყვაც კი ვერ გაგიმეტებია ჩემთვის!

ქმარმა შეხედა და მგრძნობიარე ხმით უთხრა:

– მადლობა.

•••

ორი ნაცნობი საუბრობს, ერთი მეორეს ეუბნება:

– ჩემს მეზობელს რომ ვუყურებ, ერთი კითხვა მიჩნდება: ასეთი სულელი დაიბადა თუ რაიმე დამატებითი კურსები გაიარა?

•••

ბოლო სართულზე ქალი ლიფტში შედის და იქ მყოფ მამაკაცს ეკითხება:

– ქვევით?

– არა, ზევით!..

•••

ქმარი სახლში დილის 4 საათზე დაბრუნდა. ცოლმა თავი მოიმძინარა. კაცმა სკამი საწოლის წინ დაიდგა, დაჯდა და მეუღლეს უყურებს. ბოლოს ქალმა ვეღარ მოითმინა და ეკითხება:

– რას აკეთებ?

– მინდა, პირველ რიგში ვიჯდე, როდესაც კონცერტი დაიწყება!

•••

ცოლი ქმარს დიდხანს ელოდა, ბოლოს დაწვა და დაიძინა. გვიან ღამით ხმაურმა გამოაღვიძა. სამზარეულოში შეიხედა და ხედავს, ქმარი საშინლად მთვრალი დგას, მაცივრის კარი გამოღებული აქვს და კითხულობს:

– უფროსო, სამ ლარად სახლამდე მიმიყვან?

ცოლი დამშვიდდა, საძინებელში დაბრუნდა და დაიძინა. დილით სამზარეულოში შევიდა და ხედავს, აღარც ქმარია და აღარც მაცივარი.

– ჰმ, მაინც დაიყოლია, – ჩაილაპარაკა ქალმა.

•••

ერთი ქალი მეორეს შესჩივის:

– დეპრესიაში ვარ.

– რატომ?

– მსუქანი და მარტოხელა ვარ!

– რა მსუქანი? სად? აბა მანახე.

– იქნებ ისიც გაჩვენო, სად ვარ მარტოხელა?

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.









## 21 მარტიდან

რეი ბრედბერი

# მარსის ქრონიკა

მაგარი ყდა, 528 გვერდი

ფასი გაზეთთან ერთად 19 ლარი


## ჟერარ პიკე რეალს არ ეშვება



კატალონიის ბარსელონას ცენტრალური მცველი ჟერარ პიკე ხშირად საუბრობს პრესასთან სკანდალურ თემებზე, მათ შორის მსაჯობაზეც, რომელიც, პიკეს აზრით, რეალის ჩემპიონობას უწყობს ხელს.

პიკემ კიდევ ერთხელ გააკრიტიკა რეალი და თქვა, რომ ბარსელონამ პსჟ-სთან ისტორიული ქამბექი შეასრულა, რეალი კი ძირითადად მსაჯების დახმარებით იგებს. პიკემ გაიხსენა ჩემპიონთა ლიგის შარშანდელი ფინალი და თქვა, რომ სერხიო რამოსმა გოლი თამაშგარე მდგომარეობიდან გაიტანა.

რეალმა პიკეს ეს ბრალდებები უპასუხოდ არ დატოვა და თქვა, რომ თუ ბარსას ფეხბურთელი ისევ გააგრძელებს ცილისწამებას, რეალი მას სასამართლოში უჩივლებს.

## რა უთხრა მესიმ მსაჯს, რის გამოც ის მკაცრად დასაჯეს




როგორც ცნობილია, ბარსელონას და არგენტინის ნაკრების ლიდერი ლიონელ მესი 4 -მატჩიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა, აქედან ერთი შეხვედრა მისმა ნაკრებმა უკვე ითამაშა და ლეოს კიდევ სამი შეხვედრა მოუწევს მატჩების ტრიბუნიდან თვალის დევნება.

ყველას აინტერესებს, თუ რა გახდა ასეთი მკაცრი სასჯელის მიზეზი. როგორც აღმოჩნდა, მესიმ ჩილესთან შეხვედრაში ლაინსმენს დედა შეაგინა, თუმცა მსაჯი ბრაზილიელი იყო, ამიტომ მისი ნათქვამი ვერ გაიგო და მესი მოედნიდან არ გაუძევებიათ.

სამაგიეროდ, მატჩის შემდეგ ამ ინციდენტის შესახებ ცნობილი გახდა და მსოფლიოს 5-გზის საუკეთესო ფეხბურთელი 4-მატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ბრაზილიის ნაკრებმა 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში გაინაღდა



ბრაზილიის ნაკრები გახდა პირველი ნაკრები, რომელმაც 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში გაინაღდა.

ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ბრაზილიელებმა საკუთარ მოედანზე პარაგვაის ნაკრები 3-0 დაამარცხეს.

შეხვედრა მსოფლიოს 5-გზის ჩემპიონების სრული უპირატესობით წარიმართა და მათ ძალიან დამაჯერებელი შთაბეჭდილება დატოვეს.

გოლები კოუტინიომ, ნეიმარმა და მარსელომ გაიტანეს.

მას შემდეგ, რაც ბრაზილიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ტიტე გახდა, ბრაზილიელები შესანიშნავ თამაშს აჩვენებენ და თუ ასე გაგრძელდა, ისინი მსოფლიოს ჩემპიონატის მთავარი ფავორიტები იქნებიან.




## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. ფრანგი კინოვარსკვლავი ქალი; 2. ელექტრონული წინაღობის საზომი ერთეული ფიზიკაში; 3. ქართული წარმოშობის რუსი ქიმიკოსი, კომპოზიტორი; 4. კრემისგულიანი ნამცხვარი; 5. პირველი ქართული კინოფილმის „ქრისტინეს" რეჟისორი; 6. პატარა მდინარე; 7. თავხედური გულახდილობა; 10. ციმბირული ირემი; 11. უბანი ქუთაისში; 12. ოფიცრის ჩინი; 13. მუსიკის ერთ-ერთი ჟანრი; 16. პოლიგრაფიული საწარმო; 18. ქართველი მოდელიორი ქალი; 19. ძალოსნობის იარაღი; 21. ჩქარტემპიანი მექსიკური ცეკვა; 24. ბოსტნეულის მავნებელი მწერი.

**თარაზულად:** 1. წმინდა ოქრო; 3. მამაკაცის ძველებური უნგრული პალტო; 8. კუთხე საქართველოში; 9. ისტორიული ციხე-სიმაგრე თბილისში; 14. გულის ან ბრონქების დაავადებით გამოწვეული სულის ხუთვა; 15. ბუნებრივი ზონა აფრიკაში; 17. რბილსაჯდომიანი ტაბურეტი; 20. საქონლის ჯოგი; 22. სურნელოვანი ყვავილის მქონე ეთერზეთოვანი მცენარე; 23. ძიუდოს საჭიდაო ხალიჩა; 25. ბაშკირეთის დედაქალაქი; 26. ხერხემლის ძვალი; 27. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 28. ისტორიული ციხე-ქალაქი ჰერეთში.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**